პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 18 აპრილი, პარასკევი
№ 16 (2193)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი

## დაე საუკუნოდ ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი და საქმე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

## მხატვრული ლენინიანა

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — მეცნიერული აზროვნების გენიოსის, ხალხის ბელადისა და მგზნებარე რევოლუციონერის სახეს მძლავრი მიმზიდველი ძალა აქვს ხელოვნებისათვის. ალბათ ვერ დავასახელებთ სხვა რომელიმე მაგალითს, როცა ისტორიული პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას წარმოეშვას ლიტერატურისა და ხელოვნების ესოდენ ვრცელი, პრაქტიკულად თითქმის თვალუწვდენი წრის ჟანრითა და სტილით მრავალფეროვანი ნაწარმოებები.

საბჭოთა მხატვრული ლენინიანის სათავეებთან იდგნენ გორკი და მაიაკოვსკი, რომლებმაც ჩაუყარეს საფუძველი დიადი თემის დამუშავების ნაყოფიერ ტრადიციებს. ბორის შჩუკინის შემოქმედებითი გმირობა იყო ილიჩის სახის შექმნა ფილმებში „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, სპექტაკლში „თოფიანი კაცი“. ბელადის სახით არის შთაგონებული დიმიტრი შოსტაკოვიჩის მეთორმეტე სიმფონია. ლენინურ თემაზე მუშაობას ახმარდნენ და ახმარენ თავიანთ ნიჭს სოციალისტური რეალიზმის ყველა გვარეობისა და სახეობის ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები, საზღვარგარეთის ქვეყნების ბევრი პროგრესული ხელოვანი. დღეს ლენინიანაზე შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც მსოფლიო ხელოვნების მოვლენაზე, რომელიც ის იდეოლოგიური პლაცდარმი გახდა, სადაც მიმდინარეობს უმწვავესი ბრძოლა დიდი ოქტომბრის იდეების, რევოლუციური ჰუმანიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეალების დამკვიდრებისათვის.

საბჭოეთის ნიჭიერ ხელოვანთა ნაწარმოებებში ვლადიმერ ილიას ძე წარმოგვიდგება არა მარტო ახალი ტიპის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწედ, არამედ მომავლის ადამიანის შესანიშნავ ნიმუშად, კომუნისტური ზნეობრიობის ნორმების ცოცხალ მატარებლად. სწორედ ამიტომაც ლენინიანას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვეობის დადებითი გმირის პრობლემის გადაწყვეტაში. თავიანთი მძლავრი იდეურ-პოლიტიკური და ეთიკური მუხტით ნაწარმოებები ლენინზე ჩვენს პარტიას ეხმარება ახალი საზოგადოების მშენებელთა მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში.

ნაწარმოებები, რომლებიც მკაფიოდ და ღრმად ასახავს დიდი ოქტომბრის ისტორიის სახელოვან ფურცლებს, ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობას, ჩვეულებრივ, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა ხდება, კეთილშობილურ გამოხმაურებას პოულობს მილიონობით ადამიანის გულში.

ლენინური თემისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნამუშევრები აღნიშნულია სამშობლოს საპატიო ჯილდოებით. მათ ავტორთა შორის არიან მოქანდაკეები ნ. ტომსკი და ვ. პინჩუკი, ფერმწერები ვ. სეროვი და დ. ნალბანდიანი, კომპოზიტორები გ. სვირიდოვი, რ. შჩედრინი და ვ. ტორმისი, დრამატურგი ნ. პოგოდინი, კინორეჟისორი ს. იუტკევიჩი და სცენარისტი ე. გაბრილოვიჩი, პროზაიკოსები მ. შაგინიანი და ა. კოპტელოვი, მსახიობები მ. შტრაუხი და ბ. სმირნოვი... ამ ცნობილ სახელებს შეიძლება დავუმატოთ კიდევ ნიჭიერ ოსტატთა დიდი ჯგუფი, რომლებისთვისაც ლენინური თემა გახდა მთავარი შემოქმედებაში, შთაგონების უშრეტი წყარო.

დრო სულ უფრო მეტად გვაშორებს ისტორიულ მოვლენებს, რომელთა მატიანეში სამარადჟამოდ არის ჩაწერილი კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის სახე. მაგრამ მხატვრული ძიება ლენინური თემის სფეროში გრძელდება. ხელოვნებას ბედნიერი შესაძლებლობა აქვს არა მარტო წარმოაჩინოს ილიჩის ხასიათის ახალი ნიშნები, აითვისოს მისი ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი ფურცლები, არამედ გამოავლინოს იმ კავშირის დაუსრულებელი მრავალფეროვნება, რომლის მეოხებით ლენინის დიადი იდეები ერწყმის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას, კაცობრიობის წარსულს და მომავალს, მთელი თაობების ბედს. შემოქმედებითი კავშირების, კულტურის ორგანოების, სსრ კავშირის სახკინოსა და სახტელერადიოს, გამომცემლობების, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის ამოცანა ის არის, რომ დღენიადაგ ჰქონდეთ თვალთახედვის არეში ლენინური თემის დამუშავების მიმდინარეობა, ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის განვითარების პრობლემები, განაზოგადონ შეძენილი გამოცდილება, პრინციპული შეფასება მისცენ ნაკლოვანებებს მხატვრული შემოქმედების ამ უბანზე.

ამ თვალსაზრისით სასარგებლო იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მიერ შუშენსკოეში მოწყობილი სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია „ლენინთან ერთად, ლენინური გზით“. ლიტერატურაში ილიჩის სახის ხორცშესხმის შესახებ მომთხოვნელ სჯაბაასში მონაწილეობდნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მწერლები, არამედ საზღვარგარეთელი სტუმრებიც, აგრეთვე კრასნოიარსკის მხარის პარტიული მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

სწორედ მოიქცა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოც, როცა თავისი გაფართოებული სხდომის დღის წესრიგში შეიტანა საკითხი, თუ როგორ იზრდება საეკრანო ლენინიანა, როგორია რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მასალებზე შექმნილი ფილმების ხარისხი. ეს პრობლემა აღძრული იყო კინოს მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე. ფართო საზოგადოებრიობა სამართლიანად არის შეშფოთებული იმით, რომ უკანასკნელი დროის ნამუშევართა შორის სჭარბობს სათავგადასავლო და დეტექტიური ჟანრის კინოფილმები, ცოტაა ნაწარმოებები, რომლებშიც ღრმად იყოს გააზრებული ისტორიული პროცესის მსვლელობა, მკაფიოდ იყოს გაშუქებული რევოლუციის გმირთა ხასიათები. საეკრანო ლენინიანაში არსებობის უფლება აქვთ მხოლოდ მაღალი იდეურ-მხატვრული დონის ნაწარმოებებს. ვერ შევურიგდებით შემოქმედებით კომპრომისებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ამ დარგში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილი მრავალი მხატვრული გამოფენა, სრულიად საკავშირო თეატრალური ფესტივალი კარგ საბაბს გვაძლევს გავაანალიზოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ლენინური თემის ათვისება სახვით ხელოვნებაში, დრამატურგიასა და თეატრში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის როლს ზოგჯერ ანდობენ მსახიობებს, რომელთა პროფესიული და სულიერი თვისებები არ აძლევს მათ შესაძლებლობას იყვნენ ესოდენ პასუხსაგები ამოცანის სიმაღლეზე.

რევოლუციის ბელადის თემა ლიტერატურასა და ხელოვნებაში განუყოფელია პარტიის თემისაგან, რომელიც საბჭოთა ხალხს განუხრელად მიუძღვის ლენინური კურსით. „პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — განყენებული ცნება როდია. ეს არის თვით ცხოვრება, მთელი ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა“. სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა გავაღრმაოთ იმის მხატვრული გააზრება, თუ როგორ ისხამს ხორცს ახალ ისტორიულ მიჯნაზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ბელადის ანდერძი, როგორ ასრულებენ თავიანთ ავანგარდულ როლს ლენინელი კომუნისტები.

საბჭოთა ხალხი გამამხნევებლად, მაგრამ ამავე დროს მომთხოვნელად ადევნებს თვალს ილიჩის სახის შექმნას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ლენინური თემის წარუვალი მნიშვნელობისა და აქტუალობის, იმათი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შესახებ, ვინც მას ეხება, არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი პარტიის დოკუმენტებში, მისი ფორუმების ტრიბუნებიდან. შემოქმედების ამ დარგში გაბატონებული უნდა იყოს უმაღლესი იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმები. ხელოვნება, რომელიც ლენინზე, მისი ცხოვრების უკვდავ გმირობაზე მოგვითხრობს, დიადი სახელის ღირსი უნდა იყოს.

„პრავდა“. 15 აპრილის მოწინავე.

## არის იმედი

მის ყოველ სიტყვას,
მაღალი გზნებით
ხელი ჩასჭიდე,
როგორც იარაღს,
ისე ვით დროშას,
რომელმაც წლები
ქარტეხილებზე გადმოიარა.
არის იმედი აღმასვლის,
ახლის,
ძმათა ძმობის და
ერთა ერთობის,
შენ გულმხურვალედ
გენდობა ხალხი,
როცა შენ თვითონ
ხალხს მიენდობი.
ირწმუნე,
გასწი,
გაშალე ფრთები
და ილიჩის გეზს
ენდე ყოველთვის,
როდესაც ქვეყნის
მეგზურად დგები,
როგორც მუშა და
როგორც პოეტი!!!

მორის ფოცხიშვილი



ვ. ი. ლენინი.

სსრკ სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

## ლენინი და ქართული ლიტერატურა

### საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, მწერალმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ.

— საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა, ზეიმით აღნიშნავს დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, — თქვა მან. — ლენინი ჩვენი თაობების განუყრელი მეგობარია. ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვმოღვაწეობთ, ლენინის იდეების გამარჯვების ეპოქადაა აღიარებული. მთელი ჩვენი პლანეტის მოწინავე კაცობრიობა ლენინის მიერ დასახული გზით მიდიოდა და მიდის წინ.

ცნობილია ლენინის დიდი ღვაწლი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში. ქართული მწერლობა დიდი შემოქმედებითი მიღწევებით ხვდება ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს. ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ ნაწარმოებისა, რომელიც შთაგონებულია ჩვენს ქვეყანაში ლენინიზმის იდეების გამარჯვებით; ამ ნაწარმოებებს მკითხველი კარგად იცნობს. მათ საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის. ქართული პოეტური ლენინიანა არის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა არა მარტო ქართულ, არამედ მთელ მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. ქართველმა პოეტებმა ერთ-ერთმა პირველებმა გაკვალეს გზა და მთელი ხმით უმღერეს ლენინის უკვდავებას.

მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ციციშვილმა თავის მოხსენებაში — „ლენინის სახე ქართულ ლიტერატურაში“, განიხილა ქართული ლენინიანა, ილაპარაკა იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც ქართველმა მწერლებმა მიუძღვნეს დიდ ბელადს, აღნიშნა, რომ ქართული პოეტური ლენინიანას მესაძირკვლეა ისეთი დიდი პოეტი, როგორიცაა გალაკტიონ ტაბიძე, რომ დიდ ლენინს ჯერ კიდევ 20-იან წლებში უძღვნეს ლექსები პოეტებმა ტიციან ტაბიძემ, სანდრო ეულმა, სანდრო შანშიაშვილმა, გიორგი ქუჩიშვილმა და სხვებმა. 1924 წლიდან ქართული ლენინიანა უფრო გამდიდრდა: პროლეტარიატის დიდ ბელადზე შეიქმნა პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალიო მირცხულავას, ალექსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა პოეტური ქმნილებები.

მომხსენებელი შეეხო დიდი ბელადისადმი მიძღვნილ თანამედროვე ნაწარმოებებს, აღნიშნა, რომ ქართული მწერლობა დიდი მიღწევებით შეხვდა ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს; რომ ქართველი მწერლები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კვლავაც იბრძოლებენ ლენინის იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის, კვლავაც შექმნიან ლენინური იდეების გამომხატველ ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს.

სიტყვით გამოსულმა მწერლებმა გიორგი ნატროშვილმა, გია მარგველაშვილმა, სერგი ჭილაიამ, ალიო ადამიამ, ვლადიმერ მაჭავარიანმა, გურამ გვერდწითელმა ილაპარაკეს ქართულ პოეტურ ლენინიანაზე, ლენინის იდეით შთაგონებულ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებზე, იმ დიდ შემოქმედებითს მიღწევებზე, რომლითაც ქართული მწერლობა ხვდება ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

დასასრულ დიდი ბელადისადმი, ოქტომბრის რევოლუციისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: იოსებ ნონეშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, შალვა ამისულაშვილმა, გივი ძნელაძემ, გივი გეგეჭკორმა, ემზარ კვიტაიშვილმა, ილია ხოშტარიამ, ზაქარია შერაზადიშვილმა, ლადო სულაბერიძემ, ჯემალ ინჯიამ, ვახტანგ გორგანელმა, ნოდარ ჯალაღონიამ, სტეფანე მხარგრძელმა, ლეილა ერაძემ, მორის ფოცხიშვილმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე რომან მიმინოშვილი.

## საიუბილეო დღეების ქრონიკა

წლევანდელი ტრადიციული „მხატვრის კვირეული“ განსაკუთრებით საზეიმოა — იგი ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს და მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმის 62-ე წლისთავს.

„მხატვრის კვირეულის“ პროგრამა წარმოგვიჩენს რესპუბლიკის მხატვრების მთელი წლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფს.

14 აპრილს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში კვირეულის პროგრამით გაიხსნა მხატვარ ლიდია შაბარშინას გამოფენა „ლენინური ადგილების კვალდაკვალ“. მხატვარმა მოიარა ლენინური ადგილები, საინტერესო ჩანახატები შეასრულა და ეს გამოფენაც ამ მოგზაურობის შედეგია.

კვირეულის დღეებში გაიმართება სხვა საინტერესო გამოფენებიც; მხატვრები შეხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, მოეწყობა „ღია კარის დღე“ მხატვართა სახელოსნოებში.

სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნება „მხატვრის კვირეულის“ დამაგვირგვინებელი გამოფენა, მიძღვნილი დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ქართველ მხატვართა საუკეთესო ნაწარმოებები, მიძღვნილი რევოლუციის ბელადისადმი, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომისადმი.

●

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა მხატვარ ა. სარჩიმელიძის პლაკატი, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება. პლაკატის წითელ ფონზე აღბეჭდილია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის სილუეტი და 1921 წლის 2 მარტს სერგო ორჯონიკიძისადმი მიწერილი ვ. ი. ლენინის სახელგანთქმული წერილის სტრიქონები: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

როგორც ცნობილია, ეს წერილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ სერგო ორჯონიკიძის მიერ გაგზავნილი დეპეშის პასუხი. ამ წერილში ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს ქართველი კომუნისტების ძირითად ამოცანებსა და ტაქტიკას. (საქინფორმი).

●

საიუბილეო დღეებში მიმდინარეობს საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის შემოქმედებითი პლენუმი, მიძღვნილი დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი.

მსმენელთა წინაშე გამოდიან საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრი და სხვ.

პლენუმი ისმენს ქართველ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ახალ სიმფონიურ და კამერულ მუსიკას.

ბოლოს კი პლენუმის მონაწილეთა „მრგვალი მაგიდა“ შეაჯამებს მოსმენილ ნაწარმოებებს.



# ლენინი და ლიტერატურა

პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი აზროვნების უნივერსალობით გამორჩეული გენიოსი იყო.

ვ. ი. ლენინმა არა მარტო შეითვისა კაცობრიობის მიერ მანამდე შემეცნებული და დაგროვილი ცოდნა, არამედ თავისი დიდი მასწავლებლის კარლ მარქსის მოძღვრებაზე დაყრდნობით და მისი შემდგომი განვითარებით შესძლო ახალი კანონების აღმოჩენა, სამყაროს ახლებური გააზრება და საზოგადოების გარდაქმნის გზებისა და საშუალებების მიგნება. ლენინი არა მარტო ფილოსოფოსი და იურისტი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, დიდი რევოლუციონერი და ორგანიზატორი იყო, არამედ ლიტერატორიც. ამ მრავალფეროვნებაშია მისი უნივერსალიზმი.

მთავარი ის კი არ არის, რომ ლენინი თავის თავს ლიტერატორად თვლიდა, რომ საანკეტო კითხვებზე პროფესიის შესახებ რამდენჯერმე სწორედ „ლიტერატორი" უპასუხა; მთავარი ის არის, რომ მან თავის ნაწერებში გამოავლინა ღრმად მოაზროვნე ლიტერატორის იშვიათი უნარი, ასახვის ლენინური თეორია, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის — პარტიულობის პრინციპის ჩამოყალიბება, ლიტერატურის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება, მისი წერილები ლევ ტოლსტოისა და სხვა მწერლებზე, მისი დამოკიდებულება მაქსიმ გორკისთან და გავლენა ამ მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, ნაშრომებში რუსი კლასიკოსებისა და მსოფლიოს სხვა მწერალთა ნაწერების გამოყენება, დაუღალავი ლიტერატურული მოღვაწეობა პრესაში და სხვა მრავალგვარი დამოკიდებულება ლიტერატურასთან ვ. ი. ლენინს დიდ ლიტერატორად წარმოაჩენს.

გარდა ლიტერატურის ფუძემდებლური თეორიული დებულებების შემუშავებისა, რითაც ხელს უწყობდა ლიტერატურის ახალი გზით განვითარებას, ვ. ი. ლენინი მხატვრული ლიტერატურის დიდი დამფასებელი იყო. არც ის იყო შემთხვევითი, რომ სარეცელზე მიჯაჭვული ლენინი სიკვდილის წინა დღესაც კი მხატვრულ ნაწარმოებს ისმენდა, რადგან თვითონ წაკითხვა აღარ შეეძლო...

ნადეჟდა კრუპსკაია იგონებს: „მის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, საღამოს, წავუკითხე ჯეკ ლონდონის მოთხრობა — ის ახლაც მაგიდაზე დევს მის ოთახში — „სიცოცხლის სიყვარული"... ილიჩს ეს მოთხრობა ძალიან მოეწონა. მეორე დღეს მთხოვა განმეგრძო ჯეკ ლონდონის მოთხრობის კითხვა"...

ისტორიული მატერიალიზმი, — მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ მარქსმა და ენგელსმა შექმნეს. მათ დაადგინეს, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფიერება; იდეების განვითარებას განაპირობებს საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები. მარქსმა და ენგელსმა ამ აღმოჩენით რევოლუცია მოახდინეს ზოგადად აზროვნებაში, მათ შორის კულტურისა და ხელოვნების გაგებაში. მათ დაადგინეს, რომ ისინი—კულტურა და ხელოვნება—ვითარდება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საფუძველზე, ვითარდება და სოციალური, ე. ი. კლასობრივი ხასიათისაა.

ლენინი შემოქმედებითად ეკიდებოდა მარქსიზმის მონაპოვრებს და ავითარებდა მას. თავის ფილოსოფიურ შრომებში ვ. ი. ლენინმა შემეცნების პროცესი მიიჩნია ადამიანის ცნობიერებაში გარეგანი სამყაროს ასახვის მატერიალისტურ გაგებად. ეს კონცეფცია ნათლად ჩამოაყალიბა ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".

დასახელებულ ნაშრომში და ზოგ სხვა ნაშრომშიც ჩამოყალიბებულია ასახვის მატერიალისტური, ლენინური თეორია. მისი ძირითადი დებულებები ასეთია: ადამიანის ნებასურვილის გარეშე არსებობს ობიექტური რეალური სამყარო; იგი მუდმივად მოძრავი და დაუსრულებლად მრავალფეროვანი მატერიაა; ადამიანიც მატერიალური სამყაროს ნაწილია;

ასახვა მიახლოებითია, მაგრამ ეს მიახლოება თანდათანობით ზუსტდება, ასლი უახლოვდება დედანს, ემსგავსება ორიგინალს, ჭეშმარიტებას. ასახვის ჭეშმარიტების შემოწმება ხდება პრაქტიკით, პრაქტიკა არის თეორიის კრიტერიუმი. „ისტორიულად განსაზღვრულია ფარგლები ჩვენი ცოდნის მიახლოებისა ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ უცილობელია ამ ჭეშმარიტების არსებობა, **უცილობელია,** რომ ჩვენ ვუახლოვდებით მას".

ლიტერატურის **წარმოშობა** მთლიანად დაკავშირებულია მატერიალურ ბაზისთან. მაგრამ მისი **განვითარება** დამოკიდებულია როგორც ეკონომიკაზე, ისე თვით ლიტერატურის განვითარებაში მიღწეულ დონეზე.

დიდია უკვე წარმოშობილი იდეების როლი, ისინი გავლენას ახდენენ თვით ბაზისის განვითარებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სწორედ ამ მიგნების შემდეგ მივიდა ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების აქტიური როლის აღიარებამდე: **ლიტერატურა არის არა მარტო სინამდვილის ასახვის ფორმა, არამედ მისი შეცვლის იარაღიც.**

ლიტერატურის გენეზისისა და არსის ლენინური გაგება ეწინააღმდეგება ხელოვნების როგორც იდეალისტურ, ისე ფორმალისტურ და ვულგარისტულ გაგებას. თუ იდეალისტები ხელოვნებას თვლიან მატერიალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებელ „სულის" გამოვლინებად, თვითმავითარებელ პროცესად; თუ ფორმალისტები ლიტერატურის არსსა და განვითარებას ხსნიან ფორმალური ნიშნებით; თუ ვულგარისტები აცხადებენ, რომ მწერალმა მხოლოდ თავისი კლასის „ფსიქოიდეოლოგია" უნდა შეიცნოს და გამოსახოს, — ლენინი სთვლის, რომ ლიტერატურა დაკავშირებულია მატერიალურ სამყაროსთან, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან; ლიტერატურის წყარო, მისი საგანი არის არა „სული", არა ფორმალური კანონები, არამედ თვით საზოგადოების მატერიალური, ეკონომიკური ბაზისი. მწერალს უნარი შესწევს შეიცნოს და მხატვრულად გამოხატოს ობიექტური სინამდვილე, ადამიანთა ურთიერთობანი, კლასთა ბრძოლა, ეპოქის იდეები.

მარქსიზმ-ლენინიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი შეცნობადია, ჩვენი ცნობიერება სწორად ასახავს გარემო სამყაროს, მაგრამ ასახვის პროცესი რთულია. ლენინი მიუთითებდა, რომ ასახვა „არ არის უბრალო, უშუალო, სარკისებრ-მკვდარი აქტი, არამედ რთული, გაორებული, ზიგზაგისებური აქტია..."

ასახვის ლენინური თეორიიდან გამომდინარეობს ფუძემდებლური დასკვნები: ხელოვნება არის ობიექტური სინამდვილის ფორმა; ხელოვნებაში ცხოვრება აისახება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესებით; მხატვრული აღქმა აქტიურია — ხელოვნება ხელს უწყობს სამყაროს გარდაქმნას; პრაქტიკა არის მხატვრული ასახვის ჭეშმარიტების კრიტერიუმი; მხატვრული შემოქმედება კლასობრივია, ე. ი. პარტიულია.

ასახვის ლენინურმა თეორიამ ცხადჰყო, რომ ხელოვნების თვითმიზნობა, ავტონომიურობა იდეალისტური თეორიაა, იგი უსუსურია და მიუღებელია ჩვენთვის. ლენინმა დაასაბუთა მატერიალისტური ესთეტიკის კავშირი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მშრომელთა პოლიტიკურ ბრძოლასთან. ასახვის ლენინურ თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ზოგადი პროცესების გარკვევისთვისაც და ცალკეული მწერლების შემოქმედების ობიექტური შეფასებისათვისაც. ლენინმა ეს თეორიული დებულებები თვითონვე შესანიშნავად მოიმარჯვა გერცენის, ჩერნიშევსკის, ტოლსტოის, გორკის და სხვათა შემოქმედების შეფასებისას.

მარქსისტულ-ლენინური თეორია რეალიზმს განიხილავს როგორც ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში წარმოსახვას. ეს ფუნდამენტური დებულება სათავეს იღებს ფრიდრიხ ენგელსთან. რუსეთის მაგალითზე ლენინმა მოგვცა ამ დებულების კიდევ უფრო გაღრმავება და გაფართოება. ნამდვილი რეალიზმი მხატვრული საშუალებებით გამოავლენს მოვლენათა კანონზომიერებას, ობიექტურ განპირობებულობას, მიზეზობრივ კავშირს, მოვლენათა არსს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვ. ი. ლენინმა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას რუსეთის რევოლუციის სარკე უწოდა.

სტატიაში „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე" ლენინი წერდა: „დიდი მხატვრის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად?"; მაგრამ შემდეგ ლენინი განმარტავს, რომ თვით რევოლუცია, რომელიც აისახა ტოლსტოის შემოქმედებაში, მეტისმეტად რთულ მოვლენებს შეიცავს: „მის უშუალოდ მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს". ამ სირთულეთა ბუნების გარკვევა ძნელია, მაგრამ, დაასკვნის ლენინი, „თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე". მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ ლენინს რეალისტისთვის აუცილებელ მოთხოვნად მიაჩნია ცხოვრების არსებითი მხარეების ასახვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტიპიურის ჩვენება. ლენინის ამ სტატიის ძირითადი მიზანი ისიც არის, რომ გვიჩვენოს ტოლსტოი როგორც რეალისტი, რომელმაც დაგვიხატა რუსული სინამდვილის არსებითი მხარეები.

ლენინის ეს სტატია საუკეთესო ნიმუშია ლიტერატურული აზროვნებისა და მწერლის შემოქმედების სიღრმეებში წვდომისა.

ლენინმა ცხადჰყო, რომ ტოლსტოის შემოქმედებისა და მოძღვრების ძლიერი და სუსტი მხარეების მთელი ერთობლიობა დაკავშირებულია გლეხობის იდეოლოგიასთან, რამაც გამოხატულება ჰპოვა ტოლსტოის შემოქმედებაში, — მისი შემოქმედება შეიცავს რეფორმისშემდგომი პერიოდის რუსეთის წყობილების დაუნდობელ მხილებასაც და ამავე დროს წინააღმდეგობისაკენ მოწოდებასაც. ლენინი მიდის ერთადერთ სწორ დასკვნამდე: „ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგობრიობა... ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგობრივი პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში".

ლენინის ეს სტატია მაგალითია იმისა, თუ მარქსისტული ესთეტიკა როგორ უნდა აფასებდეს სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთმიმართებას საერთოდ და ცალკეული შემოქმედის ნაღვაწს, კერძოდ. ამ სტატიით ისიც გამოჩნდა, რომ ლენინისეული მიდგომა მხატვრული შემოქმედებისადმი მიმართული იყო როგორც ვულგარული სოციოლოგიის წინააღმდეგ, რომლისთვისაც მწერლის მოღვაწეობა მთლიანად განპირობებულია მისი კლასობრივი წარმოშობით, ასევე ლიბერალური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგაც, რომელიც უგულებელყოფდა იდეოლოგიის კლასობრივ ხასიათს. ამიტომ იყო, რომ სტატიაში „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა" ლენინი წერდა: „წარმოშობით და აღზრდით მემამულეთა დიდკაცობის წარმომადგენელმა ტოლსტოიმ კავშირი გაწყვიტა თავისი წრის შეხედულებებთან, გადავიდა მეორე კლასის, პატრიარქალური გლეხობის პოზიციაზე და ამიტომ ასე სიმართლითა და გულწრფელობით ასახა გლეხობის განწყობილება." მაქსიმ გორკისთან საუბარში ლენინს უთქვამს: ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არ ყოფილაო.

რეალიზმს რომ აფასებდა, ლენინი არ უარყოფდა ადამიანის, მითუმეტეს მწერლის, უფლებას ოცნებაზე. ამისი დასტურია ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?",— მან სასაცილოდ აიგდო ოპორტუნისტი მარტინოვი, რომელიც საეჭვოდ ხდიდა მარქსისტის უფლებას ოცნებაზე, მეცნიერულ წინასწარჭვრეტაზე. აქ ლენინი იმოწმებს პისარევის სტატიას, რომელშიც მნიშვნელობა ენიჭება ოცნებას, როცა ოცნება დაეხმარება ადამიანს „გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში". „...როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა", — წერდა პისარევი.

ლენინი მხარს უჭერდა ასეთ ოცნებას და არა მარტო თვითონ იყო დიდი მეოცნებე, მომავლის განმჭვრეტი და გარდაქმნათა გეგმების შემმუშავებელი (ამიტომაც უწოდეს „კრემლის მეოცნებე"), არამედ მას ხიბლავდა რეალურ ნიადაგზე დაფუძნებული სხვისი ოცნებაც. იგი თავის ნაწერებში ხშირად იყენებდა მხატვრულ ლიტერატურაში ნაჩვენებ მოწინავე ადამიანთა ოცნებას. ოცნების მხარდაჭერიდან იღებს სათავეს რევოლუციური რომანტიზმის ნაკადი სოციალისტურ რეალიზმში, ე. წ. „რეალისტური რომანტიზმის" ელემენტები ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში.

ლენინის მიხედვით, მხატვრული ლიტერატურის ღირებულების ძირითადი კრიტერიუმია ცხოვრების სიმართლით ასახვა, მისი არსებითი მხარეების ჩვენება, ტიპიური ხასიათების დახატვა ტიპიურ გარემოში, ცხოვრებასთან დაკავშირებული ოცნების მომარჯვება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასახვის ლენინური თეორიის მეორე მხარეს, რომელიც გულისხმობს ადამიანის აქტიურ როლს შემეცნების პროცესში, რათა შემეცნების შედეგები სამყაროს გარდასაქმნელად გამოიყენოს. სწორედ ეს აქტიურობა, სამყაროს გარდასაქმნელად მხატვრული შემოქმედების გამოყენების აღიარება არის ის ერთ-ერთი ახალი და მნიშვნელოვანი, რაც არსებითად განასხვავებს ლენინურ მოძღვრებას ადრინდელი სხვა შეხედულებებისაგან. ეყრდნობა რა ამ დებულებებს, ჩვენი პარტია მხატვრულ ლიტერატურას და ხელოვნებას ამოცანად უსახავს შეიჭრას ცხოვრების სიღრმეში, გვიჩვენოს მშრომელთა აქტიური მოღვაწეობა კომუნიზმის მშენებლობაში, ამ მაგალითზე მილიონობით მასები გაიყოლოს დიადი საქმისაკენ.

ლოგიკურია, რომ ასეთი თვალსაზრისის ჩამოყალიბების შემდეგ ლენინმა ხელოვნებას, ლიტერატურას დაუსახა სავსებით გარკვეული, გამიზნული ამოცანები — სამყაროს, საზოგადოების გარდაქმნის პროცესში დადგეს რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე, მისი ინტერესების სამსახურში. აქედან იღებს სათავეს ლენინის მოძღვრება საერთოდ იდეოლოგიისა და კერძოდ ლიტერატურის პარტიულობის შესახებ.

900-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, კლასობრივი, იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის თავისებურებებმა ნიადაგი მოამზადეს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის ჩამოყალიბებისათვის. ამ მისიის შესრულება წილად ხვდა ლენინს, რომელმაც, სხვა ნაშრომების გვერდით, შექმნა სპეციალური ნაშრომი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა". იგი დაიწერა 1905 წელს. მასში ლენინმა ამხილა „უპარტიოობის" ბურჟუაზიული თეორია, დაასაბუთა, რომ ფულის ძალაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში არ შეიძლება შემოქმედის თავისუფლება: „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან".

ლენინმა დააყენა ამოცანა, რომ უნდა შეიქმნას პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირებული, სოციალისტური, ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც გამსჭვალული იქნება სოციალიზმის იდეებით. იგი უნდა ემსახურებოდეს „მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ".

ლენინი გვაფრთხილებს, რომ მექანიკურად არ გავაიგივოთ მხატვრული შემოქმედება პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სხვა ფორმებთან. სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" ლენინი წერდა, რომ „ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს". ამავე დროს, სხვა წერილებში, ამბობს, რომ მწერლის შემოქმედების სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისიდან.

ლენინი ამხელდა რეაქციულ დებულებას კაპიტალიზმის პირობებში ერთიანი ეროვნული კულტურის არსებობის შესაძლებლობის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ყოველი ეროვნული კულტურის შიგნით არსებობს ორი ეროვნული კულტურა: ხალხური, დემოკრატიული კულტურა და ექსპლოატატორული კლასების კულტურა. „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში... არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ასევე ორი კულტურაა უკრაინელებში ისევე, როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვ". რაკი ეს ასეა, ამიტომ **„თვითეული** ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ **მხოლოდ** მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ **მხოლოდ** და **უთუოდ** თვითეული ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ".

საგულისხმოა ლენინის თვალსაზრისი მემკვიდრეობითობის საკითხში. სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან" (1914 წ.) ლენინი ეხება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციას და გვაძლევს პერიოდების ქრონოლოგიურ საზღვრებს: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე".

აღნიშნული პერიოდიზაციით ლენინმა გვიჩვენა აგრეთვე ტრადიციების მემკვიდრეობითობა, გვიჩვენა, რომ პროლეტარიატი იღებდა ყველაფერს საუკეთესოს წინა პერიოდების თაობებისაგან. უკუაგდებდა რა დრომოჭმულსა და მავნეს, პროლეტარიატი ითვისებდა და ავითარებდა წინა თაობების მიერ შექმნილსა და დამკვიდრებულ მოწინავე ტრადიციებს. ეს არის ამ საკითხის ერთად-ერთი სწორი და სასარგებლო გაგება, რაც კულტურის მემკვიდრეობაზეც სავსებით და მთლიანად ვრცელდება. ეს კონცეფცია რადიკალურად განსხვავებულია სიმბოლისტების, ფუტურისტებისა და სხვათა მავნე შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი ძველის უარყოფა ხდებოდა და ამით საკაცობრიო კულტურას დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა აგრეთვე ლენინის დამოკიდებულება ეროვნული სიამაყის გრძნობისადმი. სტატიაში „ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ" (1914 წ.) და ზოგ სხვა ნაშრომშიც ლენინმა ცხადჰყო, რომ პატრიოტიზმი მუდამ იყო დაკავშირებული სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან. ლენინი კითხულობდა: „უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკოროსი შეგნებული პროლეტარებისათვის ეროვნული სიამაყის გრძნობა?". და უპასუხებდა: „რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო..." ამავე დროს ლენინი ამხელდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და გვასწავლიდა, რომ „პროლეტარიატის რევოლუციისათვის საჭიროა მუშების ხანგრძლივი აღზრდა **უსრულესი** ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით". ცხადია, ეს ამოცანა ლიტერატურასაც ეკისრია.

როგორც დავინახეთ, ლენინის დამოკიდებულებას მხატვრული ლიტერატურისადმი, საერთოდ მხატვრული შემოქმედებისადმი, განსაზღვრავს ცხოვრების რეალისტური ასახვა. მაღალი იდეურობა, ხალხურობა და პარტიულობა, რეაქციულის მხილება და ახლის, პროგრესულის დამკვიდრება, მხატვრული შემოქმედების შეფასება სოციალიზმის ინტერესების პოზიციებიდან, ჯანსაღი პატრიოტიზმი, წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება, საუკეთესოს მიღება და განვითარება. ყოველივე ეს ქმნის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, ლენინური ესთეტიკის თეორიულ საფუძვლებს.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება ლენინის დამოკიდებულება ლიტერატურისა და საერთოდ მხატვრული შემოქმედებისადმი. არსებობს ამ საკითხის სხვა ასპექტები: ლენინი არის ლიტერატორი, რომელსაც ეკუთვნის კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები მწერლებზე, ლენინის მიმოწერა ცალკეულ მწერლებთან და ცოცხალი კონტაქტები მათთან; მრავალი რუსი თუ უცხოელი მწერლის ნაწარმოებების გამოყენება ლენინის შრომებში და ა. შ. ყოველივე ეს ისევე საინტერესოა, როგორც ზემოთ განხილული თეორიული კონცეფციები. ამას უნდა დავუმატოთ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურის ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიღებული დეკრეტები და დადგენილებები, რომლებიც მიმართულია კულტურის ძეგლების დაცვის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, ცალკეულ მწერლებზე ზრუნვისაკენ — და წარმოგვიდგება გრანდიოზული სურათი იმისა, თუ როგორი იყო ლენინის დამოკიდებულება კულტურისა და ლიტერატურისადმი.

ცალკეული მწერლებისადმი დამოკიდებულების ასპექტით ყველაზე მეტად გამოირჩევა ლენინის წერილები ლ. ტოლსტოიზე, — ეს წერილები ცოტა როდია. ზოგი მათგანი ზემოთ უკვე განვიხილეთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს წერილები იმისი ნიმუშია, თუ ლიტერატურის კრიტიკოსი ან ლიტერატურათმცოდნე როგორი სიღრმით უნდა განიხილავდეს მწერლის იდეურ და მხატვრულ სამყაროს. ლენინის ეს წერილები იმისი მაგალითიც არის, თუ როგორ უნდა ვხედავდეთ მწერლის შემოქმედებაში არსებითს, წამყვან ტენდენციას, როგორ შევაფასოთ ღირსებები, თუნდაც მკაცრად ვუჩვენებდეთ მის სუსტ მხარეებს. ლენინის წერილები ლევ ტოლსტოიზე ერთი დიდი მოაზროვნის მიერ მეორე დიდი მოაზროვნისა და მხატვრის შეფასების საუკეთესო მაგალითია.

1912 წელს ლენინმა დაწერა სტატია „გერცენის ხსოვნას". ავტორს მიაჩნია, რომ გერცენის მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მის მიერ რევოლუციური დროშის აღმართვაში. „აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას... სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასის როლის განსაზღვრას".

ცნობილია, რომ ლენინი განსაკუთრებით აფასებდა ჩერნიშევსკის, როგორც ფილოსოფოსს, მებრძოლ დემოკრატს, რომლის თხზულებებსაც კლასობრივი ბრძოლის იერი დაჰკრავს. სტატიაში „საგლეხო რეფორმა" და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია" ლენინმა ჩერნიშევსკი ასე დაახასიათა: ის იყო სოციალისტ-უტოპისტი და ამასთან რევოლუციური დემოკრატი, რომელიც რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი დროის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა გლეხთა რევოლუციის იდეას, ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას. როგორც ფილოსოფოსმა, ჩერნიშევსკიმ შეძლო 50-იანი წლებიდან სიკვდილამდე დარჩენილიყო მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის დონეზე, თუმცა რუსეთში შექმნილი ისტორიული ვითარების გამო ვერ ამაღლდა მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე, ლენინი ჩერნიშევსკის და მის ჯგუფს სოციალ-დემოკრატების უშუალო წინამორბედად თვლიდა.

მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი სალტიკოვ-შჩედრინის მოღვაწეობასაც. მის დიდ დამსახურებად თვლიდა მემამულური და ბურჟუაზიული, ექსპლოატატორული წყობილების სატირულ მხილებას. ამიტომ იყო, რომ 1912 წლის 8 ოქტომბერს ლენინი „პრავდის" რედაქციას სწერდა: „საერთოდ კარგი იქნებოდა დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ „პრავდაში" შჩედრინი და „ძველი" ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოიყვანოთ მათგან ციტატები"... აქედან ერთხელ კიდევ ჩანს, რომ ლენინი მუშათა იდეური აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთოდ მწერლის სიტყვას, კერძოდ კი შჩედრინის სატირას.

მეტად საგულისხმოა ლენინის დამოკიდებულება პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკისადმი. ცნობილია, რომ მისი იდეური მიმართულების განვითარება ლენინის ზემოქმედებით ხდებოდა. კერძოდ, როცა გორკის მსოფლმხედველობაში თავი იჩინა ღმერთმაძიებლობამ და „ღვთისმშენებლობის" გავლენამ, ლენინი დაუნდობლად აკრიტიკებდა გორკის შეცდომებს, მაგრამ ამასთანავე ყოველთვის ცდილობდა მწერალი დაეცვა მტრების შემოტევისაგან, ზრუნავდა იმაზე, რომ გორკი პროლეტარულ მწერლად დარჩენილიყო. ლენინმა „ძალიან დროული წიგნი" მის „დედას" უწოდა და ამით გამოხატა აზრი, რომ პროლეტარული, სოციალისტური იდეებით ნასაზრდოები ნაწარმოები საერთო პარტიულ საქმეში დიდად დამხმარე და სასარგებლოა.

ლენინი არა მარტო წერდა ლიტერატურულ წერილებს, რომლებშიც განხილული იყო ცალკეული მწერლების შემოქმედების რომელიმე მხარე ან დასმული და გადაჭრილი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადი და ფუძემდებლური პრობლემები, არამედ პირადი მიმოწერაც ჰქონდა მწერლებთან და კულტურის მოღვაწეებთან. მათ შორის რიცხობრივადაც და მნიშვნელობითაც უნდა გამოვყოთ წერილები გორკისადმი. ასევე უნდა განვიხილოთ წერილები ლუნაჩარსკისადმი, ინესა არმანდისადმი, ვოროვსკისადმი, სერაფიმოვიჩისა და სხვა მრავალი მოღვაწისადმი. ამ წერილების საერთო დამახასიათებელი ნიშანია ზრუნვა მწერლის ბედზე, მისი შემოქმედების განვითარებაზე, ზრუნვა იდეური სიწმინდისათვის, ხელოვნებისა და ლიტერატურის პროლეტარიატის სამსახურში ჩაყენებისათვის.

ცალკე საკითხად შეიძლება გამოიყოს ლენინის ნაწერებში რუსი და საზღვარგარეთელი მწერლების თხზულებებიდან სახეების გამოყენება და ციტატების მოტანა. ლენინი ამ ხერხს მიმართავდა საკუთარი დებულების, აზრის უფრო ცხოველი, სხარტი და ხატოვანი გამოთქმისათვის, მკითხველისა და მსმენელის ემოციური დამუხტვისათვის, მათზე ზემოქმედების გაძლიერებისათვის.

რუსული ლიტერატურიდან ლენინს დასახელებული ჰყავს პერსონაჟები ან მოტანილი აქვს ადგილები ფონვიზინის, კრილოვის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გონჩაროვის, ტურგენევის, ჩერნიშევსკის, პისარევის, ნეკრასოვის, დოსტოევსკის, შჩედრინის, ლ. ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, დემიან ბედნის და სხვათა ნაწერებიდან.

ანტიკური ლიტერატურიდან ლენინის ნაწერებში გვხვდება ჰომეროსი, ეზოპე, ლუკიანე, იულიუს კეისარი, ციცერონი, ვირგილიუსი, ჰორაციუსი, იუვენალი; ინგლისურიდან — შექსპირი და დანიელ დეფო; ამერიკულიდან — კუპერი; გერმანულიდან — ჰერდერი, შილერი, გოეთე, ჰაინე, ჰერვეგი; ესპანურიდან — სერვანტესი; ფრანგულიდან — მოლიერი, ლაფონტენი, ლესაჟი, ვოლტერი, ჟან პიერ ფლორიანი, ეჟენ პოტიე, ალფონს დოდე, ემილ ზოლა, ანრი ბარბიუსი, რომენ როლანი...

რაც შეეხება ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ დეკრეტებსა და განკარგულებებს, რომლებიც ხელოვნებას და ლიტერატურას ეხებოდა და რომელთა მიღების ინიციატორი ლენინი იყო, ეს ძალზე მდიდარი და საინტერესო მასალაა, რაც საგანგებო შესწავლისა და გააზრების საგანია. ლენინის მიერ ხელმოწერილი ყველა ამ დოკუმენტით პრაქტიკულად ხორციელდებოდა ახალი ხელისუფლების ჰუმანისტური და პროგრესული იდეები და ისინი ემსახურებოდნენ საბჭოთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობას. ასევე უნდა ითქვას პარტიის ყრილობების რეზოლუციებსა და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებზე, რომლებშიც ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებია განხილული, დასახულია წინსვლის გზები. ყოველ მათგანს საფუძვლად უდევს ლენინური აზრი.

განუზომლად დიდია ლენინის ნააზრევის მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, რადგან იგი შეიცავს ფუძემდებლურ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ლიტერატურის შეფასების კრიტერიუმებს.

დიდი დრო გვაშორებს იმ წლებს, როცა ლენინი თავის ნაშრომებს ქმნიდა, მაგრამ მისი იდეები, თეორიები, დებულებები დღესაც ცოცხლობენ და გვეხმარებიან მრავალი რთული საკითხის გარკვევაში. დღეს მოქმედი საბჭოთა ლიტერატორი სულ ახალ და ახალ სიღრმეებს პოულობს ლენინის ნაშრომებში და ამიტომაც მიმართავენ რჩევისათვის ლენინის უკვდავ მემკვიდრეობას.

**ტარიელ კვანჭილაშვილი**
პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.





## საიუბილეო კომისიის სხდომა

### დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი ქართველი პოეტისა და ჰუმანისტის დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავის იუბილეს მომწყობი კომისიის სხდომა. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაციები საიუბილეო კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერლის დავით გურამიშვილის იუბილე აღინიშნება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის საქართველოს გამომცემლობები გამოუშვებენ მთელ რიგ საინტერესო წიგნებს, მათ შორის, „დავითიანის" მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. გამომცემლობა „ხელოვნება" უკრაინის გამომცემლობა „მისტეცტვოსთან" ერთად იუგოსლავიის ქალაქ ლუბლიანის პოლიგრაფიულ ბაზაზე უშვებს უნიკალურ სასაჩუქრო გამოცემას. ამ გამოცემაში შევა პოემა „დავითიანის" სრული ტექსტი ქართულ, უკრაინულ (მ. ბაჟანის თარგმანი), რუსულ (ნ. ზაბოლოცკის თარგმანი) ენებზე. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა. ბარამიძეს. „დავითიანს" მალე გამოსცემს აგრეთვე გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის" ლენინგრადის განყოფილება პროფესორ ს. ცაიშვილის წინასიტყვაობით.

უკვე გამოვიდა ე. მაღრაძის ბიოგრაფიული რომანი „გოდება, ანუ დავით გურამიშვილის ცხოვრება".

გამოსაცემად მზადდება დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მონოგრაფიები, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების გ. ჯიბლაძისა და შ. ძიძიგურის, მწერალ გ. ნატროშვილის და სხვების წიგნები, აგრეთვე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა კრებული (შემდგენელი — პოეტი ნ. გურეშიძე). პროფესორი ს. ცაიშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. სერებრიაკოვი ამზადებენ ჰწკარედს სოციალისტურ ქვეყნებში დავით გურამიშვილის ნაწარმოებების გამოსაცემად.

საიუბილეო ზეიმის მონაწილეები მოსკოვიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები ეწვევიან საგურამოსა და ლამისყანას, მონაწილეობას მიიღებენ მიტინგებში.

იუბილესათვის უკვე დამზადებულია სამაგიდო მედალი, რომლის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი.

დიდი ქართველი პოეტის დაბადების 275-ე წლისთავს ფართოდ გააშუქებს რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია და რადიო.

საზეიმო საღამო გაიმართება ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. საიუბილეო საღამოები მოეწყობა, აგრეთვე მოსკოვში და უკრაინაში.

(საქინფორმი).

## 1979 წლის ლიტერატურული პრემიები

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა გასულ წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიხედვით მწერალთა კავშირის ყოველწლიური ლიტერატურული პრემიები მიანიჭა:

პროზაში — **რეზო ქეიშვილს,** ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებული მოთხრობების ციკლისათვის „მუსიკა ქარში".

პოეზიაში — **ნოდარ ჯალაღონიას,** გაზეთ „კომუნისტში", ჟურნალებში — „მნათობსა" და „ცისკარში" გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

დრამატურგიაში — **თამაზ ჭილაძეს,** პიესისათვის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის".

კრიტიკაში — **გურამ გვერდწითელს,** 1979 წელს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისათვის.

პუბლიცისტიკაში — **სერგი ჭილაიას,** ალმანახ „განთიადში" გამოქვეყნებული მხატვრული ნარკვევისათვის „ცისფერი კომუნარები".

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა **გალაკტიონ ტაბიძის** სახელობის პრემია წლის საუკეთესო ლექსისათვის — „საქართველოში გაზაფხულია" (გაზ. „კომუნისტი", 13 მარტი), მიანიჭა პოეტ **იოსებ ნონეშვილს.**

# ლენინ, მსოფლიოს ბელადო!

[illegible]

**სონეტი ლენინზე**

[illegible]

**ლექსი ლენინზე**

[illegible]

**ანეოსესიის პორტში მტვირთავი ბირის...**

[illegible]

მე კი, პატარას,
არაფერი გამეგებოდა.

**ულიანოვსკში**

[illegible]

დაანერს —
ლ ე ნ ი ნ.

**ილიჩი**

[illegible]

ორივე დიდი მოვლენა
ქვეყნად.

[illegible]

ჩვენ ვიხედებით ილიჩის სულში.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა



# ნათელი ხსოვნა

ყველაზე ჰუმანური ადამიანი, თავმდაბალი, ნათელი პიროვნება, მებრძოლი, პრინციპული კომუნისტი, კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე მეოცნებე...

ამგვარად ცოცხლდება თანამედროვეთა მოგონებებში პროლეტარიატის დიდი ბელადი ლენინი.

ლენინზე შემონახულ მის თანამედროვეთა მრავალ მოგონებათაგან დღეს რამდენიმეს გაგაცნობთ.

## „კაციც იმასა ჰქვია!"

1920 წლის აპრილი იდგა. კრემლში პარტიის IX ყრილობა მუშაობდა. დააკვნით ახდომაზე, 5 აპრილს, თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— ახლოვდება ვლადიმერ ილიჩის დაბადების 50 წლისთავი. დელეგატების თხოვნით გადავწყვიტეთ დღევანდელი სხდომა ამ თარიღს მივუძღვნათ.

დაიწყო სიტყვებით გამოსვლა. გამოვიდნენ იაროსლავსკი, კონი, კალინინი. ამხანაგები ლაპარაკობდნენ ლენინზე, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებელსა და ხელმძღვანელზე; ხაზგასმით აღნიშნავდნენ მისი ხასიათის შესანიშნავ თვისებებს: არაჩვეულებრივ თავმდაბლობას, მომხიბვლელ სისადავეს, გულითადობას და სათუთ გულისხმიერებას.

ამ დროს ლენინი ყრილობაზე არ იყო, თავის კაბინეტში მუშაობდა. მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ ყრილობაზე მისი ხოტბა-დიდება დაიწყო, მაშინვე პრეზიდიუმს გამოუგზავნა ბარათი, რომელშიც თხოვდა ეგ ამბები ახლავე შეწყვიტეთო. მცირე ხნის მერე მეორე ბარათი რომ მოვიდა, პრეზიდიუმმა ახლა უკვე აუცილებლად მიიჩნია დელეგატებისათვის გაეცნო ვლადიმერ ილიჩის მოთხოვნა. მაგრამ ყრილობამ დაბეჯითებით სთხოვა, ვინც ჩაეწერა, ყველა ალაპარაკეთო. ეს აცნობეს ლენინს, მაგრამ მან მესამედ, თან არა მხოლოდ ბარათით, არამედ უკვე ტელეფონითაც, პეტროვსკის, რომელიც ახდომას თავმჯდომარეობდა, მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საქებარი სიტყვების ნიაღვარი და გაეკოძელებინათ ყრილობის მორიგი საკითხების განხილვა. სიტყვები შეწყდა...

ჩვენ, მოსკოვის კომიტეტის მუშაკებს, ძალიან გვინდოდა აღგვენიშნა ლენინის დაბადების დღე. გადავწყვიტეთ 23 აპრილს, მოსკოვის კომიტეტის დარბაზში, ბოლშაია დმიტროვკაზე, ჩაგვეტარებინა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამო პარტაქტივისათვის. დიდი ხვეწნის მერე როგორც იქნა ნადეჟდა კონსტანტინოვნა შეგვპირდა, ლენინს მოვიყვანო.

მახსოვს, საზეიმო სხდომა მოსკოვის კომიტეტის მდივანმა მიასნიკოვმა გახსნა.

— ლენინის მოღვაწეობის შესწავლა, — თქვა მან, — აბსოლუტურად აუცილებელი ელემენტია ძლევამოსილი ბრძოლისათვის მუშათა კლასის მოსამზადებლად.

ბევრი ძალზე საინტერესო გამოსვლა იყო; განსაკუთრებით დამამახსოვრდა მაქსიმ გორკის სიტყვა:

— ლენინს ყოველთვის ყველა და ყველაფერი ახსოვს. 1907 წელს, პარტიისათვის მძიმე წლებში, როდესაც ლონდონის ყრილობაზე წყდებოდა რევოლუციის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ვლადიმერ ილიჩი პოულობდა დროს მოვენახულებინე ხოლმე სასტუმროში, სადაც ავადმყოფი ვიწექი, და ეზრუნა ჩემს ჯანმრთელობაზე.

გორკიმ გაიხსენა, კუნძულ კაპრიზე ჩასული ლენინი როგორ დაუმეგობრდა იქაურ მეთევზეებს. იტალიური ენა არ იცოდა, ნახევრად ლათინურ, ნახევრად ფრანგულ, რაღაც უცნაურ დიალექტზე ელაპარაკებოდა. მაგრამ მეთევზეებს კარგად ესმოდათ მისი და საათობით ემუსაიფებოდნენ. ხოლო როდესაც ლენინი გამოემგზავრა, აღტაცებით იხსენებდნენ: „კაციც იმასა ჰქვია! ყველაფერი ესმის და ბავშვივით უმწიკვლოა!"

შესვენების შემდეგ დარბაზში შემოვიდნენ ვლადიმერ ილიჩი და ნადეჟდა კონსტანტინოვნა. გავიხარეთ და ტაში არ შევგვიწყვეტია, ვიდრე ლენინი ტრიბუნაზე არ ავიდა. თვალები უცინოდა. მთელ სახეზე რაღაც განსაკუთრებული, მარტოოდენ ლენინისათვის დამახასიათებელი ღიმილი დაჰფენოდა. სიყვარულით მივჩერებოდით ჩვენს ახლობელ, ძვირფას ადამიანს. იქ შეკრებილებს მოცინარი თვალები მოგვავლო და თქვა:

— ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივია, მადლობა უნდა მოგახსენოთ ორი რამისათვის: ჯერ ერთი იმ მოსალმებებისათვის, დღეს ჩემი მისამართით რომ გამოხატეთ, და მეორეც, კიდევ უფრო დიდი მადლობა, იმისათვის, რომ გადამარჩინეთ საიუბილეო სიტყვების მოსმენას.

ვლადიმერ ილიჩმა ერთ-ერთ ამხანაგს გადასცა კარიკატურა და სთხოვა — ნახეთ და ერთმანეთს გადაეცით, რათა ყველამ ნახოს — საუცხოო კარიკატურააო. კარიკატურა დასცინოდა ყოველგვარ საიუბილეო ზარ-ზეიმს.

საიუბილეო ქება-დიდებას რომ დასცინოდა, ლენინი ჩვენ, კომუნისტებს, გვასწავლიდა მოკრძალებას, გვაფრთხილებდა — არ დაარხეინდეთ, არ გაყოყლოჩინდეთო. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ვლადიმერ ილიჩი უწორუპოვარი მაგალითი გახლდათ ამისა.

ლენინი მალე წავიდა. ჩვენ კი დიდხანს ველარ დავიშალეთ. ყოველ ჩვენგანს უნდოდა რაიმე ეთქვა უსაზღვროდ საყვარელ, ძვირფას ვლადიმერ ილიჩზე — ამ განსაცვიფრებელ ადამიანზე, მასწავლებელზე, ბელადზე. მე კი არა და არ მშორდებოდა უბრალო კაპრელი მეთევზეების სიტყვები: „კაციც იმასა ჰქვია!"

იმ საღამოს თურქესტანიდან ლენინის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად მის განკარგულებაში ჩამოვიდა ოცი ვაგონი პური. [illegible] ბავშვებს გაუგზავნა. ნაწილი პურისა კი მეტროფე მუშებისათვის მიაცემინა.

პეტრე ზასლავსკი

## ვარსკვლავები

1918 წლის იანვარია. საღამოა და ჩამობნელდა. სმოლნი გაჩახჩახებულია. ფანჯრებმილმა სიცოცხლე დუღს და ხმაურობს ჩვეულებისამებრ. კიბეზე მხვდებიან ნაგანიანი მეზღვაურები, წითელგვარდიელები, რომლებიც აღელვებით ლაპარაკობენ რაღაცას და მიიჩქარიან. სმოლნის განიერ კიბეზე, როგორც ყოველთვის, თამბაქოს მძიმე, ჩახუთული ჰაერი დგას...

საღამოს სახკომსაბჭოს თათბირია დანიშნული. მე განგებ ადრე მოვედი, რათა იაკობ სვერდლოვი ვნახო. იმდენად ადრე მოვედი, რომ პირდაპირ მივეშურები ლენინის კაბინეტისაკენ, დარწმუნებული ვარ, შიგ არავინ არის და დაუკაკუნებლად ვაღებ კარს.

ოთახში სიბნელეა, მაგრამ შემიძლია გავარჩიო ფანჯარასთან მდგარი ადამიანი, და ზამთრის მოწმენდილი ცის ფონზე ვცნობ ვლადიმერ ილიჩს. მოულოდნელობისაგან ვქვავდები, მრცხვენია, დაუკაკუნებლად რომ შემოვიჭერი.

ვლადიმერ ილიჩი უძრავად დგას, კარისკენ ზურგშემოქცეული. ფანჯარაში იცქირება, მაღლა თავაწეული, უთუოდ ცას უცქერის. ზამთრის ცა მოწმენდილია და ვარსკვლავებით მოჭედილი. განძრევა მეშინია. ოთახში საოცარი სიჩუმეა.

მოულოდნელად ვლადიმერ ილიჩის ხმა არღვევს სიჩუმეს.

— ვარსკვლავები, — ამბობს ის, — რა ვარსკვლავებია დღეს! ეტყობა ყინვამ მოუჭირა.

უცებ ჩემსკენ შემოტრიალდა და მეკითხება:

— როდესმე თუ უცქერით ხოლმე ვარსკვლავიან ცას?

ვპასუხობ:

— როდესაც ოკეანეში ვარ ან სოფელში.

— ოკეანეში? ჰო, მართლა, თქვენ ხომ ამერიკაში იყავით! მე კი ყმაწვილობისას ძალზე კარგად ვიცოდი ყველა თანავარსკვლავედი, ახლა თანდათან მავიწყდება. აღარა მცალია... თქვენ, კაცმა რომ თქვას, ვისთან მოხვედით, ჩემთან გაქვთ საქმე?

მე მივუგე, სვერდლოვთან-მეთქი.

— ჰო, ადრე მოვალო, დაიბარა.

კაბინეტიდან გამოვდივარ და ვეჩეხები ფლოტის კომისარს იზმაილოვს. ისეთი გამომეტყველება აქვს, მაშინვე ვხვდები, ძალზე სერიოზული რაღაც მომხდარა. მეორე ოთახში თავმოყრილი ამხანაგებისაგან ვტყობილობ, რომ მეზღვაურებს თვითგასამართლება მოუწყვიათ და ორი ესერი მოუკლავთ.

საჩქაროდ ვბრუნდები ლენინის კაბინეტში. არასოდეს არ მენახა ვლადიმერ ილიჩი ასე აღელვებული და გულმოსული. ყოველთვის ფერმკრთალი სახე გაჰარხლებოდა, ხმაშიც უჩვეულო მრისხანება ისმოდა. წარმოსადეგი, მხარბეჭიანი მეზღვაური, ბალტიის ფლოტის კომისარი იზმაილოვი ერთბაშად პატარა, დაბნეული და დამფრთხალი მომეჩვენა.

— თვითგასამართლება! — ამბობდა ვლადიმერ ილიჩი. — ჩვენ ამას არ მოვითმენთ. და დამნაშავეებს კანონიერ სახალხო სასამართლოს გადავცემთ. მოახსენეთ თქვენს ბალტიის ფლოტს: რასაც კერენსკი ითმენდა, რადგან იძულებული იყო მოეთმინა, იმას არ მოითმენს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ჩვენი სახელმწიფო სახალხო სახელმწიფოა, ხოლო ხალხი კანონიერებასა და სამართლიანობას მოითხოვს. შეგიძლიათ წახვიდეთ.

შემდეგ მე მომიბრუნდა და უკვე სხვა ტონით, მაგრამ ძალზე დაბეჯითებით და სერიოზულად დაურთო:

— გირჩევთ, ამხანაგო კოლონტაი, ახლავე წახვიდეთ თქვენს მეგობრებთან — ბალტიის ფლოტელებთან და აუხსნათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მოითმენს ანარქიას და ჭკუით იყვნენ. ასეთი რამეებისათვის თავზე ხელს არ გადავუსვამთ. ანარქიას არ მოვითმენთ!

ხომ წარმოგიდგენიათ, რა გუნებაზე გავემგზავრე ფლოტის სახალხო კომისარიატში.

სმოლნში რომ დავბრუნდი, ვლადიმერ ილიჩი, როგორც ყოველთვის, სავსებით მშვიდი და თავდაჭერილი იყო. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ხოლო თვალებში ღიმილიც კი უკრთოდა, როდესაც მომიტრიალდა და მითხრა:

— ვინ გვაცლის ვარსკვლავების სილამაზით ტკბობას!

ალექსანდრა კოლონტაი

## „არავითარი განდიდება პიროვნებისა!"

ვლადიმერ ილიჩი ავადმყოფობის მერე პირველად უნდა გამოსულიყო სახკომსაბჭოში, ამიტომ გადავწყვიტეთ სხდომა ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გაგვეგრძელებინა. ოღონდ ეს ისე უნდა გვექნა, რომ ვლადიმერ ილიჩს არ შეემჩნია დღის წესრიგის ხელოვნური შემცირება. სახკომსაბჭოს სხდომა ამჯერად რვა საათის მაგივრად ექვს საათზე დაინიშნა. ზუსტად დანიშნულ დროს ვლადიმერ ილიჩი შემოვიდა სხდომათა დარბაზში და, როგორც ყოველთვის, აჩქარებული, თუმცა ახლა ოდნავ შენელებული ნაბიჯით მიაშურა თავმჯდომარის ადგილს.

ვლადიმერ ილიჩმა ჩუმი, მისუსტებული ხმით გამოაცხადა დღის წესრიგი.

პირველი სიტყვა რიკოვმა აიღო და ითხოვა, რომ მისი მოხსენება მოეხსნათ დღის წესრიგიდან და დაენიშნათ ორი სხდომის მერე, როდესაც ყველა ცნობას თავს მოუყრიდა და ციფრები ჩაწერილი ექნებოდა ყველა საჭირო, სათანადო ადგილას.

ვლადიმერ ილიჩმა საყვედურით გადააქნია თავი და ამ საკითხს კენჭი უყარა.

სახკომსაბჭო ხალისით დათანხმდა მოხსენების გადადებას.

მეორე საკითხის შესახებ თვით მომხსენებელი არ გამოცხადდა, და შევუდექით მესამე საკითხის განხილვას, რასაც ათ წუთზე მეტი არ დასჭირვებია; კიდევ რაღაც მოვისმინეთ და ძალზე მარჯვედ მოვახერხეთ დღის წესრიგის სრული ამოწურვა, ასე რომ 25 წუთში ლენინის გამოკეთების მერე ჩატარებული ეს პირველი, ისტორიული სხდომა დამთავრებული იყო. ამხანაგები გარს შემოეხვივნენ ვლადიმერ ილიჩს. იგი, როგორც ყოველთვის, ყურადღებით გამოელაპარაკა ყველას და ჩუმად წავიდა.

ჯანმრთელობა დღითიდღე უუმჯობესდებოდა, და ისიც სულ უფრო და უფრო მეტს მუშაობდა...

* * *

მეორე დღეს ვლადიმერ ილიჩის კაბინეტში მოხდა მისთვის ძალზე დამახასიათებელი რამ: ათი საათი იქნებოდა, თავის კაბინეტში რომ შევიდა და მაშინვე გაზეთების გადათვალიერებას შეუდგა. ნახევარი საათი იქნებოდა გასული, რომ ჩემს ოთახში გაისმა მისი შეშფოთებული ზარი. ცუდი რაღაც მოხდა-მეთქი, გავიფიქრე და კისრისტეხით მივაშურე მის კაბინეტს.

შევდივარ და ვხედავ: ვლადიმერ ილიჩს სახეზე ფერი არ ადევს, აღელვებულია და საყვედურით მეუბნება:

— რასა ჰგავს ეს? რანაირად დაუშვით ასეთი რამ?.. ნახეთ, რას წერენ გაზეთები? წაკითხვა მრცხვენია. წერენ ჩემზე, ასეთიაო, ისეთიაო, ყველაფერს აჭარბებენ, გენიოსს, რაღაც განსაკუთრებულ ადამიანს მიწოდებენ, აი აქ კი რაღაც მისტიკაა: კოლექტიურად უნდათ, მოითხოვენ, სურთ, რომ ჯანმრთელი ვიყო... ასე თუ გასტანა, ვინ იცის, პარაკლისიც გადაიხადონ ჩემი გამოჯანმრთელებისათვის... ეს ხომ საშინელებაა!.. საიდან გაჩნდა ასეთი რამ? მთელი სიცოცხლე იდეურად ვიბრძოდით პიროვნების, ცალკეული ადამიანის განდიდების წინააღმდეგ, რა ხანია გადავწყვიტეთ ცალკეული გმირების საკითხი. და აქ უცებ ისევ პიროვნების განდიდება არ გამოჩნდა! ეს არაფერს არა ჰგავს. მე ისეთივე ვარ, როგორც ყველანი... მშვენიერი ექიმები მმკურნალობენ. მეტი რაღა გინდათ!.. მასებს არა აქვთ ასეთი ყურადღება, ასეთი მოვლა და მკურნალობა, ჯერ ვერ მოვასწარით მათთვის ყველა პირობის შექმნა... აქ კი დამიწყეს საგანგებოდ გამორჩევა... ეს ხომ საშინელებაა...

მე სიტყვაც კი ვერ ჩავურთე ამ აღელვებულ ლაპარაკში და რაკი მეშინოდა, ასეთი აღელვება ვლადიმერ ილიჩს ძალიან ავნებს-მეთქი, როგორც კი გაჩერდა, წყნარად დავიწყე, რომ მასების სიყვარული სწორედ მისდამი მართლაც უსაზღვროა; რომ საქმეთა სამმართველო, და პირადად მე აკლებული ვართ ტელეფონით, წერილებით, ტელეგრამებით, ფაბრიკების, ქარხნებისა და კავშირების დეპუტაციებით: ყველას უნდა შეიტყოს მისი ჯანმრთელობის ამბავი, და აი ეს საყოველთაო სურვილი მუშებისა, გლეხებისა, წითელარმიელებისა, მეზღვაურებისა, რომლებმაც დაადგინეს სამხედრო გემებიდან მოხსნან მებრძოლები და მისი პირადი დაცვისათვის გამოგზავნონ. — აი სწორედ ეს ამბები აისახა ჩვენს გაზეთებში, სტატიებში, წერილებში, ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივთა დადგენილებებში.

— ეგ ყველაფერი ძალზე გულამაჩუყებელია... არ ვიცოდი, თუ ამდენი მღელვარება და შეშფოთება გამოვიწვიე ყველგან... მაგრამ ეს ამბები ახლავე უნდა შეწყდეს ისე, რომ არავის ვაწყენინოთ. არაა საჭირო, მავნებელია. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენას და ცალკეულ გმირზე ჩვენს შეხედულებას... იცით რა: გამოიძახეთ ოლმინსკი, ლეპეშინსკი და მოდით ჩემთან. სამივეს გთხოვთ ახლავე დაიაროთ დიდი თუ პატარა ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და გადასცეთ, რასაც დაგაბარებთ: ხვალიდანვე, ჭკვიანურად, თავი დაანებონ ამაებს და გაზეთების გვერდები უფრო საჭირო და უფრო საინტერესო მასალებს დაუთმონ... ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება დააჩქარეთ ეს საქმე.

და ვლადიმერ ილიჩი კვლავ გაზეთებს მიუბრუნდა...

მცირე ხნის მერე ვლადიმერ ილიჩს ვეახელი და ვაცნობე, ამხანაგები მოვიდნენ-მეთქი.

— ახლავე შემოიყვანეთ, — აჩქარდა ვლადიმერ ილიჩი. როცა შემოვიდნენ, წამოდგა და სიხარულით შეეგება თავის ძველსა და ახლო მეგობრებს.

— აი ეს ყველაფერს გიამბობთ. გეთაყვათ, საჩქაროდ გაემგზავრეთ და ეს უმსგავსობა აღკვეთეთ... რაღაც გმირად შემრაცხეს. გენიოსს მიწოდებენ, ეშმაკმა იცის, რა ხდება!

ოლმინსკიმ, როგორც ყოველთვის ზრდილმა და თავაზიანმა, ვლადიმერ ილიჩს უთხრა, სუბიექტურად ძალზე მახარებს, ასე რომ მოხდაო.

— რატომ?

— ამის წყალობით მე განხეთ ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე და აღშფოთებული. ხოლო ობიექტურად მართლაც არაფერს არა ჰგავს ეს ამბავი... გაზეთები ლამის რაღაცა კოლექტიურ სასწაულს მოითხოვენ...

— პატრიარქმა ტიხონმა კი — იხუმრა ლეპეშინსკიმ — მგონი წმიდანებში შეგრაცხოთ. მერედა რა შემოსავლიანი წმიდანი ეყოლებით:

ვლადიმერ ილიჩი გამოხალისდა, იცინოდა, თან დაურთავდა:

— გაეშურეთ, გაეშურეთ... ხუმრობა იქით იყოს: ძალზე სერიოზული საკითხია, ახლავე უნდა შეწყდეს ეს განდიდება პიროვნებისა...

ამ საქმეს რამდენიმე საათი მოვანდომეთ და სახკომსაბჭოში დავბრუნდით. ვლადიმერ ილიჩი თავის ბინაში იყო. მაშინვე მიგვიღო და დიდი გულისყურით მოგვისმინა.

— გაზეთებს კი მაინც მიატანეთ თვალი და ყველას, განსაკუთრებით კი საქარხნო-საფაბრიკო გაზეთების რედაქციებს, სათანადო მითითებები მიეცით...

მეორე დღეს გაზეთებს სხვა ტონი ჰქონდა და ვლადიმერ ილიჩსაც ეს საკითხი აღარ წამოუჭრია...

ვლადიმერ ბონჩ-ბრუევიჩი

## ვასილ გვეტაძე
## მაჯის საათი

მოსკოვში, ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, ინახება მაჯის საათი, რომელსაც ბელადი ბოლო წლებში ატარებდა.

1.

მიუჩენიათ აქ მისთვის ბინა,
დრო გადის, გადის უხმოდ, ტაატით.
ახლა ხავერდზე მინის ქვეშ ბზინავს
ერთი უბრალო მაჯის საათი.
მისი ლულუნი და მასლაათი
არ იზომება დროის ჭავლებით, —
დევს ვიტრინაში ძველი საათი,
დიდი ბელადის ხელშენავლები.
დღეს დათვლილ წამებს ვინ აუთავდეს,
დრო გადის, გადის მართლა ტაატით.
დიდი სიცოცხლის ბოლო წუთამდე
მაჯაზე ფეთქდა ვერცხლის საათი.
ძარღვებში სისხლის ჩქეფა ხმიერი
გადმოდიოდა სითბოდ მაჯიდან...
ჩვენ, მეგობარო, ვართ მადლიერი
ამ სათნო ნივთის მცირე გარჯითაც!

2.

საათო, ფეთქდი გულთან მართალთან
და ყველაფერი გემახსოვრება:
ოდესღაც შენი დროით მართავდა
ბელადი თავის დიად ცხოვრებას.
საათო, მისი დიდი ცხოვრება
შენ აგინუსხავს ძვირფას წუთებით,
ალბათ მიტომ არ გეუცხოება,
ასე რომ გივლით, გესათუთებით.

3.

მე ვიცი, ვიცი, ძვირფასო ნივთო,
რომ ის წუთები შენში ფეთქავენ,
შენი დანახვით იმ დღეებს გვითბობ,
როცა დრო და შენ გრძნობდით ერთმანეთს.
ახლა იმ ჟრჟოლამ გარხიოს უნდა,
ადამიანებს რომ შეგვარხევდა...
ჩვენ წავალთ, შენ კი, საათო, მუდამ
მარადისობის თვალი დაგხედავს.

4.

და დევს ნივთებთან, თავის მსგავსებთან,
საათი, ბრძენის ნასათუთევი,
დიდი ბელადი წუთს აფასებდა, —
ჰე, რა დიდია ფასი წუთების!
ისრის წიკწიკი და მასლაათი
უკვე არ კრთება დროის ჭავლებით.
ბზინავს მინის ქვეშ მაჯის საათი,
ადრე ბელადის ხელშენავლები.

## ვახტანგ გორგანელი
## ფაცხა

ლანჩხუთის განაპირა უბანში, მაჩხვარეთში, გლეხ ივანე იმნაიშვილის ფაცხაში 1915 წელს არალეგალური სტამბა მოეწყო. ვ. ი. ლენინმა იცოდა, რომ ამ სტამბაში რევოლუციური ფურცლები იბეჭდებოდა.

არც ბჭედიდი ლონდონია,
არც ზღაპრული პარიზი,
არც შადრევნებს ლეგენდებად
ლაჟვარდებში არ ისვრის;
რა ტოკიო, რის მადრიდი,
რა დელი და პეკინი, —
ბახმაროს არ გასცდენია
მაჩხვარეთის ზეფირი.
მაგრამ წუთი რომ ჩამოდგა
სისხლის ღვრის და ქარ-წვიმის,
ეს პატარა მაჩხვარეთი
იქცა ბუდედ არწივის.
როგორც ტყვია, როგორც ნაღმი,
როგორც ბასრი ხანჯალი,
ისე არის ბრძენის სიტყვა
სტრიქონებში ჩამჯდარი;
რა ყოფილა ბრძოლის ჟინი,
რა გრგვინვა და რა რისხვა,
ერთი ციდა გლეხის ფაცხა
იტევს რამდენ ქარიშხალს;
სიმართლის ხმამ გაიღვიძა,
მაგრამ მტერსაც არ სძინავს, —
დაეკარგა მოსვენება
გარეწარს და ნაძირალს.
დაეძებენ, შეაჯერეს
ბერლინი და პარიზი...
მაჩხვარეთი თუ არსებობს,
მეფის ტახტმა არ იცის.
ნურც სცოდნია, მთავარია,
ფურცლებს მისდევს ფურცლები
და საბრძოლოდ ისტამბება
სიტყვა თავისუფლების.
მთავარია, გზა იპოვნა
ჩაგრულმა და დევნილმა,
მთავარია, მაჩხვარეთი
იცის დიდმა ლენინმა.
მზის შუქივით თვალწინ მიდგას
ის დღეები მქუხარი
და გუგუნებს ახლაც მკერდში
ფაცხის თბილი ბუხარი,
ვის ლადარშიც ინრთობოდა
ხმა დიადი მომავლის,
ფაცხიდან რომ გადიოდა,
როგორც ზღვაში ხომალდი.

## ლენინი სახკომსაბჭოში

ლენინის დროს სახკომსაბჭოში საქმიანი, გამოცოცხლებული ვითარება იყო. მაშინ იქნა შემოღებული საქმეთა განხილვის გარეგნული წესები: დროის განსაკუთრებული სიმკაცრით განსაზღვრა ორატორთათვის — განურჩევლად იმისა, ჩვენი მომხსენებლები იყვნენ თუ მოსულნი — და დისკუსიის მონაწილეთათვის. ყველას მოეთხოვებოდა მოკლე და საქმიანი გამოსვლა. სახკომსაბჭოში გამეფებული იყო რაღაცნაირი განწყობილება, გეგონებოდათ, თვით დრო უფრო შემჭიდროვდაო, ისე ბევრ ფაქტს, აზრსა და გადაწყვეტილებას იტევდა ყოველი მოკუმშული წუთი. მაგრამ ამასთან ერთად ოდნავადაც არ იგრძნობოდა სულ პაწია ნიშანიც ბიუროკრატიზმისა, ან თუნდაც დაძაბულობა ადამიანებისა, ალტანელ შრომას რომ ეწევიან. ლენინის დროს მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე საპასუხისმგებლო იყო, ყველას „იოლი" ეჩვენებოდა.

თვითონ ლენინს ყოველთვის უყვარდა სიცილი. სხვაზე უფრო ხშირად მის სახეზე ჩნდებოდა სიცილი. რანსომმა, თვალმახვილმა და დაკვირვებულმა ინგლისელმა, შენიშნა და აღნიშნა, რომ ჩვენი დროის უდიდესმა ადამიანმა მხიარული, უზრუნველი სიცილი იცოდა, და სწორედაც ახსნა ეს თვისება. „ესაა ძალის სიცილი, — ამბობს რანსომი. — ლენინს ხელთ აქვს ისეთი სრულყოფილი გასაღები საზოგადოების საიდუმლოებათა და სიძნელეთა გასახსნელად, კომუნიზმმა მისცა მას ისეთი რწმენა პროგნოზის ურყევობისა, რომ, რაღა თქმა უნდა, ვერავითარი სხვა მთლიან ვერ იქნება ასე დარწმუნებული თავის თავში, თავის გეგმებში, თავის პროექტებში".

ლენინი გულითადად ხარხარებდა, როდესაც ვინმეს [illegible] კურიოზულ წინააღმდეგობებს. მასთან ერთად ხარხარებდა მთელი ის მაგიდა, რომელსაც უსხდნენ დიდი რევოლუციონერები და ჩვენი დროის ახალი ადამიანები...

უნდა გენახათ, რანაირად უსმენდა ხოლმე ლენინი. მე არ მეგულება უფრო მშვენიერი სახე, ვიდრე იყო ვლადიმერ ილიჩის სახე, როდესაც ვინმეს უსმენდა. სახეზე იდო უჩვეულო ძალის ბეჭედი, რაღაც ლომისებური ეფინა ამ სახესა და ამ თვალებს, როდესაც ფიქრიანად უცქეროდა მომხსენებელს და ლამის იწოვდა ყოველ სიტყვას; როდესაც სწრაფ, მახვილ დამატებით შეკითხვებს აძლევდა ამავ მომხსენებელს.

თუმცა სახკომსაბჭოში ბევრი იყო დიდებული, ნათელი გონების ადამიანი, მაგრამ ჩვეულებრივად ლენინი სხვებზე სწრაფად გადაამუშავებდა ხოლმე ყველა საკითხს და [illegible] გადაწყვეტილებამდე მიდიოდა. მაგრამ ამაში არ იყო იოტისოდენა მისწრაფება [illegible] რომ, ასე ვთქვათ, ხელოვნურად გამოკვლინებინა თავისი პირველობა. თუ ვინმე წამოაყენებდა შესატყვის გადაწყვეტილებას, ლენინი უმალ იტყოდა: „აბა უკეთესი, კარგად გამოგივიდათ".

ლენინი ძალზე იშვიათად ჯავრობდა, მეტადრე სახკომსაბჭოში. მაგრამ თუ გაჯავრდებოდა, მტრისას. გამოთქმებს არ არჩევდა.

მაგრამ არავის არასოდეს არა სწყინდა ლენინისაგან ეს „ტყავის გაძრობა". პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტად უყვარდათ იგი, სულ ერთია ემხარებოდა ვინმეს, აქებდა თუ ტყავს აძრობდა.

როდესაც ლენინი ავად გახდა, სახკომსაბჭო დაობლებულად გრძნობდა თავს. და როდესაც ხანგრძლივი ავადმყოფობის მერე კვლავ მოვიდა სხდომაზე — ეს ამბავი ყველამ რაღაცნაირი შეშფოთებული, ფარული სევდანარევი სიხარულით მიიღო.

ლენინი ის აღარ იყო. დიდი სათვალე გაეკეთებინა, რათა თვალები დაეცვა, და ამას [illegible], ჩვეულებრივად მხნედ მიჰყავდა სხდომა, მშვენივრად წვდებოდა საქმეთა არსს, გვთავაზობდა საბოლოო რეზოლუციებს, მაგრამ მის ლაპარაკში შემაშფოთებელი რაღაც იგრძნობოდა. სახალხო კომისრები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: „მოიკეთა, წამოდგა, კიდევ ატყვია ავადმყოფობის კვალი, მაგრამ გაუვლის, გამოკეთდება", მაგრამ ამავ დროს სადღაც გულის სიღრმეში მტკივნეული ეჭვი დაბუდებულიყო. და ლენინი კვლავ მიეფარა ჩვენს თვალთახედვას. ამჯერად უკვე სამუდამოდ.

ანატოლი ლუნაჩარსკი



# ქართველი პოეტები ლენინს

კაცობრიობის დიდი ბელადის — ვლადიმერ ლენინის სახე იყო და მარად იქნება ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყარო. რევოლუციის წლებიდან მოყოლებული დღემდე ლენინის გმირულ ცხოვრებას მიეძღვნა მრავალი მხატვრული ნაწარმოები.

მხატვრული ლენინიანა კვლავ მდიდრდება და ახალ შემოქმედებითს მწვერვალებს იპყრობს.

ქართული პოეტური ლენინიანა დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გემი დალანდი". ამის შემდეგ მრავალმა ქართველმა პოეტმა უმღერა ვლადიმერ ლენინს. სამოცი წლის მანძილზე შეიქმნა დიდი საგანძური.

ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს მიუძღვნა გამომცემლობა „მერანმა" პოეტური კრებული „ქართველი პოეტები ლენინს" (სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი). წიგნში დაბეჭდილია ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი მიძღვნილი ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსების რჩეული. კრებული იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით: „გემი დალანდი", „ლენინი" და „იდეა"; აქვეა წარმოდგენილი ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, ალიო ადამიას, ლადო ასათიანის, შალვა ამისულაშვილის, მარიკა ბარათაშვილის, ხუტა ბერულავას, კალე ბობოხიძის, ზაურ ბოლქვაძის, ვიქტორ გაბესკირიას, ვალერიან გაფრინდაშვილის, მირზა გელოვანის, აკაკი გეწაძის, ალექსანდრე გომიაშვილის, ვახტანგ გორგანელის, იოსებ გრიშაშვილის, ნოდარ გურეშიძის, სანდრო ეული-ქურიძის, პაოლო იაშვილის, დილარ ივარდავას, ანა კალანდაძის, კარლო კალაძის, გიორგი კაჭახიძის, ბონდო კეშელავას, ემზარ კვიტაიშვილის, ნაზი კილასონიას, გიორგი ლეონიძის, ზურაბ ლორთქიფანიძის, რევაზ მარგიანის, მუხრან მაჭავარიანის, ალიო მირცხულავას, ილო მოსაშვილის, მაყვალა მრევლიშვილის, კოლაუ ნადირაძის, სილოვან ნარიმანიძის, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ნონეშვილის, ვახლამ ქურულის, გიორგი სალუქვაძის, ლადო სულაბერიძის, არჩილ სულაკაურის, ვლადიმერ უშილავას, შალვა ფორჩხიძის, მორის ფოცხიშვილის, მიხეილ ქვლივიძის, ალექსანდრე ქუთათელის, გიორგი ქუჩიშვილის, ოთარ შალამბერიძის, სანდრო შანშიაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ალეკო შენგელიას, ჯანსუღ ჩარკვიანის, სიმონ ჩიქოვანის, გრიგოლ ცეცხლაძის, გივი ძნელაძის, ოთარ ჭელიძის, თამაზ ჭილაძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, ფრიდონ ხალვაშის, ვახტანგ ჯავახაძისა და თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსები.

წიგნის გარეკანზე დაბეჭდილია ლენინის პორტრეტი, რომელიც დახატულია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მიერ. წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე დაიბეჭდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის სტამბაში. მხატვარია სპარტაკ ცინცაძე.

# გაიხსნა საგაზაფხულო გამოფენა

თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა საგაზაფხულო გამოფენა.

როგორც ყოველთვის, გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის მხატვართა არაერთი საინტერესო ნაწარმოები, — ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

გამოფენა გამოირჩევა თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით, საინტერესო მხატვრული და სტილური ძიებებით.

გამოფენა დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება.







# თეატრალური ლენინიანა

მდიდარია თეატრალური ლენინიანა. საბჭოთა სცენაზე შეიქმნა სპექტაკლები, რომელთაც განმსაზღვრელი როლი შეასრულეს თეატრის ისტორიაში. თეატრალური ლენინიანიდან უწინარესად უნდა დავასახელოთ შჩუკინი და პოგოდინი, შტრაუხი და კორნეიჩუკი, ბუჩმა და ულიანოვი, დადიანი და ვასაძე... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, — ყოველ რესპუბლიკას აქვს თავისი სასცენო ლენინიანა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა პირადი მაგალითით, თეატრისადმი დამოკიდებულებით, დიდი ამაგი დასდო საბჭოთა თეატრს ავტორიტეტის შექმნაში, მისი დიდი სახელმწიფოებრივი როლისა და ადგილის განსაზღვრაში.

ვ. ი. ლენინი ბავშვობიდანვე ხშირად დადიოდა თეატრში, ესწრებოდა სპექტაკლებსა და კონცერტებს. დიმიტრი ულიანოვის მოგონებით, ლენინი ბავშვობაშივე სწავლობდა მუსიკას და „მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა მუსიკის სიყვარული". ნ. კრუპსკაია თავის მოგონებებში ხაზს უსვამდა, რომ ლენინს „ძალიან უყვარდა თეატრი, — იგი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე". ლენინი თეატრს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყურადღებას არ აკლებდა საბჭოთა ხელისუფლების უმძიმეს წლებშიც კი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რეპერტუარის საკითხებს; მხარს უჭერდა რევოლუციურ რეპერტუარს, აქებდა ოპტიმისტურ, მომავლის რწმენით შთაგონებულ ნაწარმოებებს. მთავრობა ლენინის მეთაურობით სისტემატურად იხილავდა თეატრის დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საორგანიზაციო სტრუქტურისა და რეპერტუარის საკითხებს; მიღებული იქნა დადგენილება მ. ერმოლოვასათვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების თაობაზე; მ. ერმოლოვას დაენიშნა ხელფასის სპეციალური განაკვეთი; რევოლუციური მოძრაობის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა უკვდავსაყოფ ღონისძიებათა სიაში შეტანილი იყო ვ. კომისარჟევსკაიას და ი. მოჩალოვის სახელები.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კულტურა სავსებით შიშველ ნიადაგზე როდი იქმნებოდა. იგი ორგანულად აგრძელებდა იმას, რაც კაცობრიობის გენიას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე. სწორედ ამ მყარ საფუძველზე შენდებოდა ახალი სოციალისტური კულტურა.

1918 წელს პროლეტკულტელები მივიდნენ ლენინთან და ალექსანდრეს თეატრის დახურვა თხოვეს, — ეს თეატრი რეაქციული ხელოვნების ბუდეაო. როგორც ა. ლუნაჩარსკი გადმოგვცემს, ლენინმა უპასუხა: „ჯერჯერობით, რასაკვირველია, მისი რეპერტუარი ძველია, მაგრამ ყოველგვარი ტალახისაგან ჩვენ მას ახლავე გავწმენდთ. საზოგადოება, და ამასთან სწორედ პროლეტარული, იქ ხალისით დადის; როგორც ეს საზოგადოება, ისე თვით დრო კონსერვატორულ თეატრებსაც აიძულებს თანდათან შეიცვალონ".

ვ. ი. ლენინის ეს საპროგრამო დებულება მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. მან დიდი როლი შეასრულა პროლეტკულტელების მცდარი პოზიციების გარკვევაში.

ლენინმა დაავალა ა. ლუნაჩარსკის აქტიურად დაეჭირა მხარი ახლისა და პროგრესულისათვის, არ ემსჯელათ მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით.

1919 წლის 26 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „თეატრალურ საქმეთა გაერთიანების შესახებ". ეს იყო ისტორიული დოკუმენტი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში. ამიერიდან თეატრის განვითარების რთული და მრავალპლანიანი პროცესი ორგანიზებულად წარიმართა. ბოლო მოეღო ქაოტურობისა და სტიქიურობის ყოველგვარ გამოვლინებას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მიუხედავად დიდი სახელმწიფოებრივი დატვირთულობისა, ლენინი თეატრისთვისაც პოულობდა დროს. სწორედ მისი თავმჯდომარეობით იქნა განხილული მშრომელებში თეატრის ბილეთების განაწილების ორგანიზაციის საკითხი. 1919 წელს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თეატრალური ლენინიანა გამდიდრდა მრავალი ღირსსახსოვარი ფაქტით: ასე, მაგალითად, იანვარში, სვეტებიან დარბაზში ლენინი დაესწრო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობდა ვ. კაჩალოვი; ამავე თვეში სოკოლნიკში (მოსკოვი) დაესწრო კონცერტს; მცირე თეატრში ნახა მ. გორკის „მოხუცი"; თებერვალში დაესწრო წითელარმიელებისათვის გამართულ კონცერტს კრემლში; 6-8 მარტს ესწრებოდა კავშირების სახლში კომინტერნის პირველი კონგრესისათვის გამართულ კონცერტს, რომელშიც მონაწილეობდა თ. შალიაპინი; 9 მარტს ნახა სამხატვრო თეატრის „ძია ვანია". ნ. კრუპსკაიას გადმოცემით, ლენინს სპექტაკლი მოსწონებია. ამ დღესთან დაკავშირებით ნ. პოგოდინი იგონებს: „ვლადიმერ ილიჩ, თქვენთვის მოსაწყენი არ არის სპექტაკლის ნახვა? — მოსაწყენი? — მიპასუხა მან, — არა, რას ამბობთ! შესანიშნავი ავტორია, შესანიშნავი სიტყვა, შესანიშნავი მსახიობები". 14 აგვისტოს ლენინმა განკარგულება გასცა „მარინსკის", „ალექსანდრინსკისა" და „მიხაილოვსკის თეატრებისათვის სახელების შეცვლის შესახებ. 25 დეკემბერს სამხატვრო თეატრში ნახა მ. გორკის „ფსკერზე". წარმოდგენა არ მოეწონა, რადგან მასში დაკარგული იყო „ყოფითი წვრილმანები", რომლებიც, როგორც იტყვიან, „ქმნიან მუსიკას" (ნ. კრუპსკაია). ლენინმა დაიწუნა სპექტაკლის არაბუნებრივი თეატრალობა. ლენინი რამდენჯერმე დაესწრო ვ. კაჩალოვის, ი. მოსკვინის, თ. შალიაპინის, ლ. სობინოვის, ა. ნეჟდანოვას კონცერტებს. უყურადღებოდ არ დარჩენია მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებიც კი... ყველაფერი ეს მხოლოდ 1919 წელს, საბჭოთა ქვეყნის უმძიმეს პერიოდში!

არ შეიძლება სიამაყის გრძნობას არ იწვევდეს პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის ბელადის ესოდენ დიდი ყურადღება თეატრისადმი. ლენინს თეატრი მიაჩნდა იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური აღზრდის დიდ იარაღად.

ვ. ი. ლენინის განკარგულებით შედგა ხარჯთაღრიცხვა დიდი და მცირე თეატრების რემონტისათვის, ეს მაშინ, როცა ახალი სოციალისტური ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ კაპიკს, ყოველ მანეთს. ლენინმა, ა. ლუნაჩარსკისა და თ. შალიაპინის მონაწილეობით, სპეციალური საუბარი გამართა თეატრალური საქმიანობის რეფორმასთან დაკავშირებით, ცალკე სხდომაზე (რომელსაც ნ. პიატნიცკი ესწრებოდა) განიხილა ხალხური სიმღერების შეკრებისა და რუსული ქორის შექმნის საკითხი.

ვ. ი. ლენინს ძალიან მოეწონა სამხატვრო თეატრის სპექტაკლი — ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება", აღტაცებული დარჩა კ. სტანისლავსკის მიერ გენერალ კრუტიცკის როლის შესრულებით. „სტანისლავსკი ნამდვილი მხატვარია" — უთქვამს ლენინს. საინტერესო იყო სამხატვრო თეატრის პირველ სტუდიაში ი. ბრეიგერის „წარღვნა". ვ. ი. ლენინი დაესწრო სპექტაკლს. „ამ სპექტაკლს ვლადიმერ ილიჩი განსაკუთრებული ინტერესით უყურებდა. ისევე, როგორც მასთან ერთად ლოჟაში მსხდომებმა, ისიც არ იცნობდა პიესას და მონაწილეთა უმეტესობასაც პირველად ხედავდა. ამიტომ უფრო ძლიერად გაიტაცა იმ მომხიბვლელმა ენერგიამ, რაც სცენაზე ხდებოდა — მძაფრმა თეატრალურმა გადაწყვეტამ „წარღვნისა", რომელიც უძლურია განწმინდოს ცხოვრება ბურჟუაზიული წყობის სიბინძურისაგან, ასევე ბრწყინვალე დადგმამ და ახალგაზრდა მსახიობთა თამაშმა... ახლაც კი ჩამესმის ლენინის სიცილი, მისი ცოცხალი რეპლიკები სპექტაკლის მსვლელობის დროს. ნათლად მახსოვს, როგორი აზარტით უკრავდა ტაშს შემსრულებლებს" (ს. ვინოგრადოვას მოგონებიდან).

ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის თეატრალურ კულტურას. ემიგრაციაში ყოფნის დროს იგი ხშირად ესწრებოდა წარმოდგენებს, გამოთქვამდა თავის დამოკიდებულებას სპექტაკლისადმი. მას იტაცებდა მებრძოლი, რევოლუციური თეატრის იდეა, მხარს უჭერდა ბურჟუაზიული თეატრალური კულტურის პროგრესულ და დემოკრატიულ ხაზს, მკაცრად ამხელდა რეაქციულ ხელოვნებას. ევროპის თეატრებისადმი დამოკიდებულებაში ნათლად იკითხება ლენინის ცნობილი დებულება ბურჟუაზიულ სამყაროში ორი კულტურის არსებობის შესახებ.

ევროპის თეატრებში ლენინმა ნახა სოფოკლეს „ელექტრა", ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". მიუნხენში მოისმინა გალევის ოპერა „კარდინალის ქალიშვილი", ჟენევაში — „კარმენი"; ოპერეტები — ვენაში, ციურიხში, ლონდონში, დაესწრო გერმანული თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს, კრაკოვში — ორ წარმოდგენას, ბერნში — ტოლსტოის „ცოცხალ ლეშს", ჟენევაში ნახა მუშათა თეატრის მიერ წარმოდგენილი ჰაუპტმანის „ფეიქრები"; ნახა სარა ბერნარი („მარგარიტა გოტიე"); ხშირად დადიოდა მუშათა თეატრებში, იყო რეინჰარდტის თეატრში...

ასე დიდი იყო ლენინის თეატრალური სამყარო. იგი სწვდებოდა ყველგან, ადამიანური ცხოვრების უსაზღვრო სივრცეებს, მისი ყოფის სიხარულსა და ტკივილს. მაგრამ რომელი თეატრის რომელ სპექტაკლსაც არ უნდა დასწრებოდა, მისთვის მთავარი იყო, თუ რამდენად მაღალმხატვრულად ისახებოდა მასში ხალხის ინტერესები, მისი განწყობილებანი. ლენინი იცავდა რეალისტური თეატრის პრინციპებს, თეატრისა, რომელიც რწმენასა და სიხარულს ანიჭებდა ადამიანს.

ვ. ი. ლენინს მდიდარი თეატრალური ინფორმაცია ჰქონდა. მან თავად ნახა, თუ რა პროცესები ხდებოდა ევროპის თეატრებში, რას ეძებდნენ, რა გზით მიემართებოდა XIX საუკუნის დასასრულის თეატრალური ცხოვრება ახალი საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევრამდე. მაგრამ ლენინი, მისთვის ჩვეული მოკრძალებისა და დიადი თავმდაბლობის გამო, ხაზს არ უსვამდა თავის ცოდნას თეატრალურ საკითხებში.

ვ. ი. ლენინის თეატრალური დაკვირვებები, შთაბეჭდილებები, შენიშვნები, მითითებები ძვირფასი განძია საბჭოთა თეატრისათვის. იგი კიდევ უფრო ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს საბჭოთა ლენინიანას, ხელს უწყობს მრავალფეროვანი საბჭოთა თეატრის წარმატებებს.

თეატრში ვ. ი. ლენინის სახის სცენური ისტორია არსებითად იწყება 1937 წლიდან, როდესაც დაიდგა ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი", რასაც მოჰყვა სხვა პიესები. ცდები ლენინის სახის შექმნისა მანამდეც იყო, მაგრამ დიდ მხატვრულ განზოგადებას შჩუკინმა მიაღწია. უაღრესად პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა მთელი შემოქმედებითი ძალების დარაზმვას, მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, დიდ მხატვრულ ნიჭსა და სიმართლის გრძნობას. რ. სიმონოვი ასე იგონებს „თოფიან კაცზე" მუშაობის პირველ დღეებს: „თითქმის ყოველ რეპეტიციაზე რეჟისორის პატარა მაგიდასთან იჯდა პიესის ავტორი ნ. პოგოდინი. შჩუკინი რეპეტიციების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მოდიოდა თეატრში, საუცხოოდ მომზადებული, ზუსტად დასწავლილი ტექსტით... „თოფიანი კაცის" მოსამზადებელი მუშაობა თეატრისა და დრამატურგის შემოქმედებითი თანამეგობრობის ნიმუშს წარმოადგენდა". და შემდეგ: „ბორის ვასილის ძე ერთიანად ჩაიძირა ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასი სახის შექმნაში. ამ სახეში, რომელიც შესანიშნავი აქტიორის, შჩუკინისათვის შემოქმედების მწვერვალად ითვლება — მან ჩააქსოვა სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ხალხისადმი მთელი თავისი სიყვარული".

ვ. ი. ლენინის სახე დიდი წარმატებით განასახიერა დიდმა უკრაინელმა მსახიობმა ა. ბუჩმამ. იგი შედიოდა იმ ხუთეულში, რომელთაც პირველად ხვდათ წილად ბელადის სახეზე მუშაობა. როლზე მუშაობის მისეული მეთოდის შესახებ იგი წერდა: „მუშაობის დასაწყისში მე არ მაინტერესებდა გარეგნული მხარე, არ მაინტერესებდა გრიმი — მაინტერესებდა მხოლოდ ბელადის შინაგანი ცხოვრება. კინოფირზე შემდეგნაირად ვმუშაობდი: ფირს გავუშვებდი, იქიდან ვიღებდი რომელიღაც მოძრაობას, შემდეგ შევაჩერებდი და, როგორც ანატომი, ვცდილობდი მეპოვა ამ მოძრაობის მიზეზი. ასე ვმუშაობდი მასალაზე და თანაც ვეჩვეოდი მას. მეტისმეტად ძნელი რამ იყო". ამას მოსდევდა მუშაობა ბელადის ინტონაციის, ლაპარაკის შესწავლაზე, მუშაობა მუზეუმებში. მსახიობის შთაგონებულ შრომას შედეგიც მოჰყვა.

მთელ საბჭოთა თეატრთან ერთად ლენინის თემაზე ინტენსიურად მუშაობდა ქართული თეატრიც.

რუსთაველის თეატრს დიდხანს აღელვებდა ბელადის თემა. ღრმა ოპტიმიზმი და სიცხოველე, რევოლუციური მღზნებარება, იდეური სისავსე და ზეაწეულობა თან სდევდა ლენინის სახის სცენური გადაწყვეტის ყოველ ახალ ცდას. რუსთაველის თეატრის უფროს თაობას დღესაც კარგად ახსოვს, თუ როგორი ძალით ჟღერდა სპექტაკლ „ანზორში" სიტყვა „ლენინი", როგორ ამძაფრებდა იგი ნაწარმოების იდეას, როგორ ამაღლებდა ხალხის შეგნებას და წარმართავდა მას საერთო მიზნისაკენ. ამ ძლიერი იდეური განზოგადების გამო იყო, რომ ს. მ. კიროვმა „ანზორის" ნახვისას თქვა: „პირდაპირ მზად ვარ ჩავერთო ბრძოლაში, ვერ ვჩერდები ადგილზე, და ეს ყველაფერი ისე ნაცნობია ჩემთვის, ისე ახლოა „ანზორი", თითქოს საკუთარი ცხოვრების ფურცელს ვკითხულობდე".

1937 წელს რუსთაველის თეატრმა დადგა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან" (რეჟისორი — ა. ვასაძე, მხატვარი — ი. გამრეკელი). წარმოდგენას დიდი ხმაურით შეხვდა პრესა. დამდგმელმა ჯგუფმა კარგად შეისწავლა ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, რასაც გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა მსახიობებისათვის. გაზეთმა „კომუნისტმა" მთელი გვერდი უძღვნა შ. დადიანის ამ პიესის დადგმას, როგორც რუსთაველის, ისე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. რუსთაველის თეატრის სპექტაკლში ლენინის როლი შეასრულა ჯერ ა. ვასაძემ, ხოლო შემდეგ დ. მჟავიამ.

სწორედ დ. მჟავიას სახელთან არის დაკავშირებული რუსთაველის თეატრში ლენინის სახის შექმნის ისტორია. ამ სპექტაკლში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, 1939 წელს დ. მჟავია გამოვიდა ნ. პოგოდინის „თოფიან კაცში" (რეჟისორი — ა. ხორავა, მხატვარი — ი. გამრეკელი). ვლადიმერ ილიჩის როლის ქართველ შემსრულებელს დიდი ინტერესით შეხვდა პრესა და თეატრალური საზოგადოებრიობა.

ლენინის როლის შემსრულებელი აკ. ვასაძე წერდა: „ვ. ი. ლენინის როლში მე უპირველეს ყოვლისა, ვცდილობდი სახის შინაგან სიღრმეს ჩავწვდომოდი და მისთვის დამემორჩილებინა გარეგანი გამოსახულებაც". პ. კობახიძე წერდა: „მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ წილად მხვდა განმეხორციელებინა დიდი ლენინის სახე ქართულ სცენაზე 1941 წელს პოგოდინის „კრემლის კურანტებში" და 1947 წელს ჭიაურელისა და ასათიანის პიესაში — „1917 წელი". ასე დიდი პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითი სიხარულით იქმნებოდა ქართული სასცენო ლენინიანა.

მ. თუმანიშვილმა დადგა „დაუვიწყარი „1919 წელი", სადაც ლენინის როლს დ. მჟავია ასრულებდა. გამდიდრდა და გაფართოვდა ქართული ლენინიანას რეპერტუარი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. პოპოვის „ოჯახის" დადგმას რუსთაველის თეატრში. რეჟისორმა დ. ალექსიძემ იგი 1950 წელს დადგა ქართულ სცენაზე. არსებითად ეს იყო პირველი პიესა, რომელიც ულიანოვის ოჯახის ცხოვრებას და მის საზოგადოებრივ გარემოს ასახავდა. ლენინის როლი საინტერესოდ გადაწყვიტა კ. მახარაძემ. მისი გმირი სიჭაბუკეშივე ბელადი როდია. მსახიობმა სახე ისე გახსნა, რომ მაყურებელი მთელი ძალით გრძნობს, თანდათანობით როგორ იზრდებოდა და ყალიბდებოდა ახალგაზრდა ლენინის მარქსისტული მსოფლმხედველობა.

დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში შექმნილი იყო რეალისტური ატმოსფერო, მთელი სცენა სიჯანსაღით, სითბოთი სუნთქავდა. შესრულების რეალისტური მანერა სავსებით შეესაბამებოდა სპექტაკლის ბუნებას, მის თემატურ და იდეურ მიზანდასახულობას. წარმოდგენა მრავალი წელი ცოცხლობდა რუსთაველის თეატრის სცენაზე, არაერთხელ განახლებულა და გადახალისებულა იგი. უფროსი თაობის მსახიობთა გვერდით გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც.

ლენინის სახის შექმნას დიდი შემოქმედებითი ენერგია მოახმარა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმაც. 1937 წელს რეჟისორმა გ. ჟურულმა საინტერესოდ დადგა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან". ლენინის როლი შ. გომელაურმა შეასრულა. მაყურებელი ცხოველი ინტერესით შეხვდა ამ წარმოდგენას. მას ფართოდ გამოეხმაურა პრესაც. შ. გომელაური უმთავრესად როლის სწორი პორტრეტული მონახაზით იქცევდა ყურადღებას.

დიდი რეზონანსი ჰქონდა სპექტაკლს „1917 წელი" (პიესის ავტორები — მ. ჭიაურელი, ლ. ასათიანი). მასში ლენინის როლი საუკეთესოდ განასახიერა პ. კობახიძემ. პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად მან სცენურ სახეს სწორი შინაგანი ლოგიკა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა შესძინა.

მარჯანიშვილის თეატრმა განახორციელა გრ. ბერძენიშვილის პიესა „დაჭრილი არწივი" (რეჟისორი მ. ჭიაურელი). სპექტაკლში ლენინის როლს კვლავ პ. კობახიძე ასრულებდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მსახიობმა საერთოდ დიდი წვლილი შეიტანა ქართულ სცენაზე ვ. ი. ლენინის სახის დამკვიდრებაში.

დედაქალაქის თეატრების გარდა ლენინის სცენური სახის შექმნაზე დიდხანს იმუშავეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის თეატრალურმა კოლექტივებმაც.

ბათუმის თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს წარმატებით დაიდგა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", ი. პოპოვის „ოჯახი". ლენინის როლს ამ სპექტაკლში თამაშობდა ს. ხორავა.

ქუთაისის სცენაზე დ. ანთაძის რეჟისორობით დაიდგა შ. დადიანის „ნაპერწკლიდან". ამ თეატრის წარმოდგენა ჟღერდა, როგორც ღრმად იდეური, თანამედროვეობის სულისკვეთებით გამს- [illegible]

[illegible] ცარიზმს და საფუძველს უყრიდა ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. პიესის ცენტრში დგას ლენინის სახე, ხოლო ყველაფერი დანარჩენი ამ მთავარი გმირის მაღალმხატვრულად გადმოცემას ემსახურება. სწორედ ამიტომ გორის თეატრმა სპექტაკლს „ლენინი" უწოდა. სპექტაკლში მთელი რიგი სცენები, სურათები რეჟისორ ვ. ფაჩულიას მახვილად და საინტერესოდ ჰქონდა გადაწყვეტილი.

ლენინის თემამ საპატიო ადგილი დაიჭირა თეატრალური ინსტიტუტის ახალგაზრდა შემოქმედთა ცხოვრებაშიც. სააქტო დარბაზის სცენაზე დ. ალექსიძემ დადგა ი. პოპოვის „ოჯახი". ახალგაზრდები დიდი მონდომებითა და გატაცებით მოეკიდნენ საქმეს. გულმოდგინე შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ლენინის როლი ითამაშა რ. ჩხიკვაძემ. ახალგაზრდა მსახიობმა იმთავითვე გვიჩვენა გმირის შინაგანი ცხოვრების გულწრფელად გამოხატვის უნარი.

ესთეტიკური აღზრდა, რომელიც ლენინმა სიჭაბუკის წლებში მიიღო, კარგი საფუძველი აღმოჩნდა მისი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებისათვის. ეს მომენტიც, არის დრამატურგიაში შენიშნული, მაგრამ პოპოვის „ოჯახი" უფრო ფართოდ ეხება ლენინის თემას. ამიტომ იგი კარგი საფუძველიცაა სხვადასხვა თეატრალური გააზრებისათვის, თავის მხრივ თეატრებიც გულისყურით ეკიდებიან ამ შესაძლებლობებს. ამის კარგი მაგალითი იყო ლილი იოსელიანის სპექტაკლი „ოჯახი" გორის თეატრის სცენაზე.

რეჟისორი მკვეთრად გაემიჯნა პუბლიცისტიკას და იმ შიშველ ტენდენციურობას, რომელიც თითქმის ყოველთვის შეინიშნება ხოლმე ამგვარი პიესების დადგმის დროს. არცთუ იშვიათად, ბელადის თემა, — საერთოდ, რევოლუციური პათოსი, — სცენაზე ვერ პოულობს მართალ ფსიქოლოგიურ ასახვას. ლილი იოსელიანმა კარგად იცოდა ამგვარი მოვლენების უარყოფითი მხარეები და გადაწყვიტა სავსებით ახლებურად წაეკითხა პიესა. სირთულე ამ გადაწყვეტისა ფსიქოლოგიურისა და რომანტიკული ამაღლებულობის სინთეზში იყო. რეჟისორმა სწორი გზები და საშუალებები იპოვა, რათა ზუსტად მოენახა ის მხატვრული აქცენტები, ე. წ. „საყრდენი წერტილები", ამ ორი მომენტის ბუნებრივი სინთეზის საშუალებას რომ მისცემდა. და აი, გორის თეატრის სცენაზე შეიქმნა ლირიკული, ფაქიზი პოეტური განცდების ატმოსფერო. ულიანოვების ოჯახის თემა, რომლის ცენტრშიაც მოქცეულია ლენინის სახე, მისი გმირული ბრძოლის ეპოპეა, სცენაზე რეალისტური სიმართლით წარმოისახა და ეს არის წარმოდგენის უპირველესი ღირსება.

ასე რომ ქართულ თეატრს არ შეუწყვეტია ლენინის სრულყოფილი მხატვრული სახის შექმნაზე მუშაობა. იგი დაჟინებით ეძებს ახალ გზებს და საშუალებებს, რათა სულ უფრო და უფრო მეტად საინტერესოდ აისახოს ბელადის თემა სცენაზე.

თუ თვალს გადავავლებთ ქართული საბჭოთა თეატრის განვლილ გზას, გავითვალისწინებთ იმ რეპერტუარს და საერთოდ იდეურ ტენდენციებს, რომლებითაც საზრდოობდა ქართული თეატრი, — დავინახავთ, რომ მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვ. ი. ლენინის თემას, წითელ ზოლივით გასდევს მთელ მის შემოქმედებით ცხოვრებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი თეატრები ყოველთვის ის- [illegible]

[illegible] მეგობრობით ეძიებიან ბელადის თემას. ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქუთაისის თეატრის სპექტაკლი — „ქვეყნის ივლისი", სადაც ახალგაზრდა მსახიობს დ. დვალიშვილს ნამდვილი შემოქმედებითი წარმატება ხვდა (რეჟ. გ. ქავთარაძე).

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელთან დაკავშირებით ახალ სპექტაკლებს დგამენ რესპუბლიკის თეატრები.

თეატრალური ლენინიანა გრძელდება.

ვასილ კიკნაძე

ვერნისაჟი

# „სიმწიფის მიჯნაზე"





ასე ეწოდება ნორჩი მხატვრების გამოფენას, რომელიც თბილისში, ბავშვთა სურათების გალერეაში გაიხსნა. ექსპოზიციაზე შვიდი ავტორის 50-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი.

გამოფენის გახსნაზე ითქვა, რომ ექსპოზიცია ფრიად საინტერესოა. მრავალფეროვანია ხატვის ტექნიკა. ჩანს ბავშვთა ინტერესის სფერო. განსაკუთრებით სჭარბობს ნატურმორტი და ისტორიული ძეგლების ხედები. მათი ავტორები არიან თამრიკო ბაქრაძე, ნინო გორდელაძე, ეკა ჯაფარიძე, ქეთინო ალექსი-მესხიშვილი, ლევან ხარანაული, კარლო კაჭარავა და სანდრო ერისთავი.

— ყველა მათგანს საკუთარი ხელწერა აქვს, — გვეუბნება გალერეის დირექტორი ა. კუხიანიძე, — აშკარად იგრძნობა ნორჩი მხატვრების მაღალი გემოვნება. ექსპოზიციისთვის გაცილებით ბევრი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, მაგრამ საუკეთესოები შევარჩიეთ და დამთვალიერებელთა სამსჯავროზე გამოვიტანეთ, მათი ავტორები წინათაც ხშირად მონაწილეობდნენ ჩვენს გამოფენებში. გამონაკლისი მხოლოდ თბილისის მე-60 სკოლის მეათეკლასელი ლევან ხარანაული გახლავთ, რომელიც ჩვენთვის აღმოჩენაა. დანარჩენებს ხშირად მიუღიათ მონაწილეობა სხვა გამოფენებზეც. მაგალითად, ქეთინო ალექსი-მესხიშვილისა და სანდრო ერისთავის ნამუშევრები ექსპონირებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, პოლონეთში... ჩვენი გამოფენის მიზანი ისაა, რომ საზოგადოებას გავაცნოთ პოტენციური მხატვრები, ის ბავშვები, რომლებსაც პერსპექტიულად ვთვლით და იმედის თვალით შევყურებთ. მსგავსი გამოფენა მეოთხედ ეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ექსპოზიცია, ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს მის წინამორბედებთან შედარებით.

...ისევ და ისევ ვათვალიერებთ უფროსკლასელთა ნამუშევრებს, რომლებიც მართლაც „სიმწიფის მიჯნაზე" დგანან. სანდრო ერისთავს ისტორიული ძეგლებისა და ძველი თბილისის ხედები იზიდავს, თამრიკო ბაქრაძეს — ნატურმორტი და პეიზაჟი, ქეთინო ალექსი-მესხიშვილს პორტრეტებშიც მოუხერხავს ოსტატობა... ყველაზე მრავალფეროვანი მაინც ლევან ხარანაულის ნამუშევრებია.

...ნორჩი ავტორები „ნამდვილ" მხატვრობაზე ოცნებობენ. მანამდე კი სამხატვრო აკადემიაში აპირებენ სწავლის გაგრძელებას, ხოლო გალერეის დირექცია რეკომენდაციებს პირდება მათ.

აღსანიშნავია, რომ ამავე გალერეაში კიევის მე-4 სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაც გაიხსნა. გამოფენის გახსნაზე სკოლის ხელმძღვანელმა სვეტლანა პოვოროზნიუკმა აღნიშნა, რომ მსგავსი ექსპოზიციები ხელს უწყობს ნორჩი მხატვრების დაახლოებას, მომავალი შემოქმედებითი ურთიერთობის საძირკველის ჩაყრას და, რა თქმა უნდა, ბავშვების სულიერი სამყაროს გამდიდრებას.

ხსვათა შორის, სვეტლანა პოვოროზნიუკი ნორჩი მხატვრების დიდი მოამაგეა — პრესაში წაუკითხავს სტატია თბილისის ბავშვთა სურათების მუზეუმის გახსნის შესახებ. მერე ჩვენს დედაქალაქსაც სწვევია და საკუთარი თვალით უნახავს ნორჩების შემოქმედება, გაცნობია მუზეუმის მუშაობას. შინ დაბრუნებულს კი ბავშვთა სამხატვრო სკოლა ჩამოუყალიბებია.

ავთანდილ გურასაშვილი





სურათებზე: ლ. ხარანაულის, თ. ბაქრაძის და ს. ერისთავის ნახატები.

# გარდაიცვალა ჯანი როდარი

15 აპრილს რომში 59 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა დიდი იტალიელი საბავშვო მწერალი, პროგრესული ჟურნალისტი ჯანი როდარი. მას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში როგორც მრავალი საყმაწვილო წიგნის, კერძოდ „ჩიპოლინოსა" და „ცისფერი ისრის მოგზაურობის" ავტორს.


გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380007, თბილისი, მახაბლის ქ. № 13.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბეჟიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03576